საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი, 6 ნოემბერი. 2019 წ. №220 (8886) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დემოკრატია არ ნიშნავს დემაგოგიას, თავისუფლება არც თავგასულობის ნიშანსვეტია!

დღევანდელი ოპოზიცია ავანტიურისტული, აგრესიული და არაკეთილმოსურნეა ქვეყნისა და ერის წინაშე

იხ. 3 გვ.

გიორგი გახარია ნიდერლანდებში

გიორგი გახარია ნიდერლანდების სამეფოში ვიზიტით იმყოფება. ვიზიტის ფარგლებში ის თავის კოლეგას მარკ რუტეს შეხვდა. მთავრობის ადმინისტრაციის ცნობით, მარკ რუტემ გიორგი გახარიასთან შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დაადასტურა ნიდერლანდების სამეფოს მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი.

მხარეებმა ისაუბრეს უსაფრთხოების კუთხით არსებულ გამოწვევებზე, ასევე საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ მძიმე ჰუმანიტარულ ვითარებაზე.

ყურადღება გამახვილდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტის ისტორიულ მნიშვნელობაზე, რამდენადაც ნიდერლანდების სამეფოს, ორმხრივ ფორმატში, საქართველოს მთავრობის მეთაური პირველად ეწვია. შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ორ ქვეყანას შორის სხვადასხვა სფეროში არსებულ წარმატებულ თანამშრომლობას და სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების კუთხით არსებული პოტენციალის კიდევ უფრო განვითარებას.

ასევე, მათ ხაზი გაუსვეს საქართველოში ჰოლანდიელი ტურისტების რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდას და იმედი გამოთქვეს, რომ ამ კუთხით არსებული პოზიტიური ტენდენცია გაგრძელდება. შეხვედრის შემდეგ, ერთობლივ ბრიფინგზე გახარიამ განაცხადა, რომ მხარეებმა ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის ყველა მიმართულება განიხილეს.

ოჰ, ეს მოუხელთებელი ინვესტიციები, უმუშევრობა, სიღუხჭირე...

4

სახელმწიფომ ექიმების ნორმალური ანაზღაურება უნდა უზრუნველყოს!

საშუალო ხელფასი სხვაგვარად უნდა დაითვალოს, ხოლო მინიმალური – შეიცვალოს

5

ირაკლი ღარიბაშვილი აშშ-ის არმიის მეთაურს ესაუბრა

საქართველოს **თავდაცვის მინისტრმა ევროპაში აშშ-ის არმიის მეთაურს, გენერალ-ლეიტენანტ კრისტოფერ კავოლის უმასპინძლა.**

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ირაკლი ღარიბაშვილმა თავდაცვის სფეროში საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობა ხაზგასმით აღნიშნა და ამერიკულ მხარეს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების პროცესში გაწეული დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის (GDRP) მიმდინარეობას, რომელიც აშშ-ის ევროპის სარდლობის ჩართულობითა და მხარდაჭერით წარმატებით ხორციელდება.

თავდაცვის მინისტრი „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიისა და ნატოს ხელმძღვანელ პირებს შეხვდა

ავღანეთში **ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის მინისტრი „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიისა და ნატოს ხელმძღვანელ პირებს შეხვდა.**

ქაბულში, მისიის შტაბ-ბინაში ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურთან, გენერალ-ლეიტენანტ ვლადიმერ ჩაჩიბაიასთან ერთად საქმიანი შეხვედრები გამართა „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის ხელმძღვანელთან, გენერალ ოსტინ სკოტ მილერთან, „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის შტაბის უფროსთან და ნატოს უმაღლეს სამოქალაქო წარმომადგენელთან, ელჩთან — სერ ნიკოლას კეისთან.

შეხვედრებზე მხარეებმა ნატოს ეგიდით ავღანეთში მიმდინარე საერთაშორისო მისიაში ქართველი სამხედრო მოსამსახურეების როლსა და მათ წვლილზე ისაუბრეს.

ქართულმა მხარემ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ საქართველო აღებული ვალდებულების ერთგული რჩება, გააგრძელებს საერთაშორისო მშვიდობისა და სტაბილურობის მხარდაჭერას და მიესალმება ამერიკის შეერთებული შტატების ძალისხმევას, ხელი შეუწყოს ავღანეთში მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებებს, რაც ერთადერთი რეალური გზაა სტაბილური მშვიდობიანი მომავლის შესაქმნელად.

თავდაცვის მინისტრმა ავღანეთში ვიზიტი ქაბულში „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის შტაბ-ბინის ბაზაზე დისლოცირებულ III ქვეითი ბრიგადის ნაკრებ ასეულთან შეხვედრით დაასრულა.

დავით ზალკალიანი შვედეთში ქართულ დიასპორას შეხვდა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა შვედეთში ქართულ დიასპორასთან შეხვედრა გამართა. დავით ზალკალიანის განცხადებით, საგარეო საქმეთა მინისტრის მხრიდან ყველა საელჩოს დავალებული აქვს დიასპორის წარმომადგენლებთან აქტიური კომუნიკაცია და მათი დახმარება.

„დიასპორასთან ურთიერთობა ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. საქართველოს ყველა საელჩოს დავალებული აქვს დიასპორასთან აქტიური კომუნიკაცია. საელჩო თქვენი სახლია და შესაბამისად, აქ არ უნდა არსებობდეს ბარიერები“, — განაცხადა მინისტრმა შვედეთში ქართულ დიასპორასთან შეხვედრაზე.

მისი თქმით, მას დიასპორასთან დაკავშირებული საკითხები პირად კონტროლზე აქვს აყვანილი და მუდმივად საქმის კურსშია მიმდინარე საჭიროებებთან დაკავშირებით.

კანონიდან იმ მუხლის ამოღება იგეგმება, რომელიც გარკვეულ ადგილებში მშენებლობას კრძალავს

შესაბამისი ცვლილებები „სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში“ შედის, რომლის ინიციატორები საპარლამენტო უმრავლესობის წევრები გურამ მაჭარაშვილი, ნინო წილოსანი, პაატა მხეიძე, მერაბ ქვარაია და ზაზა გაბუნია არიან.

კანონპროექტში აღნიშნულია, რომ დღეს მოქმედი რედაქციით: **ქუჩაზე, მოედანზე, ხიდზე, ტროტუარზე, გვირაბსა და მიწის ნაკვეთებს შორის გასასვლელში დაუშვებელია შენობა-ნაგებობის (გარდა განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შენობა-ნაგებობისა) მშენებლობა, ხოლო პარკში, ბაღში, სკვერსა და სხვა მსგავს სივრცეში დაუშვებელია ისეთი შენობა-ნაგებობის მშენებლობა, რომელსაც არა აქვს საერთო სარგებლობის საზოგადოებრივი ან სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. კანონპროექტის მიხედვით, კოდექსიდან სწორედ აღნიშნული ჩანაწერის ამოღებაა გათვალისწინებული.**

ავტორები განმარტავენ, რომ ეს ცვლილება პრაქტიკულად ტექნიკური ხასიათისაა, რადგან ეს ღონისძიება ისედაც ტარდება და უნდა გატარდეს მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ. ასეთი ჩანაწერით კი შესაძლებელია, საფრთხე შეექმნას, მაგალითად, ლეგიტიმურად განთავსებულ დროებით ნაგებობებს.

ამასთან, როგორც საქართველოს პირველ არხს კანონპროექტის ერთ-ერთმა ინიციატორმა გურამ მაჭარაშვილმა განუცხადა, აღნიშნული საკითხი ქალაქის გენერალური გეგმით განისაზღვრება.

ღმერთს ვთხოვოთ, სავლე გადიქცეს პავლედ!

ამან ეს თქვა, იმან ის თქვა,
ეს ეს არი, ის ის არი,
ამას ეს ქვა, იმას ის ქვა,
ეს ისარი, ის ისარი!

სულმნათი აკაკი წერთლის ეს სიტყვები შემახსენა ნაცბაცნების „მთავარის“ ვაი-უშველებლმა და იმ „მთავარმა აქცენტმა“, რომელმაც ქართული სახელმწიფოებრიობისა და მისი ყველა წმიდათაწმიდის ჩანთქმის მზაკვრული მიზნით მეცხრე ტალღა ააგორა და ზედ ნაცების მიერვე წლების წინათ ჩანერგილი ნაჭყონდიდელი წამოასკუპა, რათა მისი ყოვლად დაუჯერებელი ცილისწამება მაყურებელს დამაჯეებლად მოსჩვენებოდა. არადა, ხალხს რისი სჯერა, ეს თვალნათლივ გამოჩნდა იმ საერთო სახალხო მხარდაჭერითა და სიყვარულით, რომელიც არა მხოლოდ მრევლმა და არა მარტო ქრისტიანებმა, არამედ ფაქტობრივად ყველა რელიგიის აღმსარებლებმა და იმ პოლიტიკოსებმა გამოიჩინეს, რომელთა მოსყიდვას ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციამდე“ ცდილობდნენ და იუდას ჯიბის ფულის სახით თვეში 25 ათას დოლარს ამაოდ სთავაზობდნენ. კომპიუტერულ ქსელში სწორედ ამიტომ მოვიძიე ერთ-ერთი მათგანის, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწისა და პოლიტიკოსის თემურ შაშიაშვილის ჩანაწერები, რომელთა შორის პოეტ ნათია ჯიმშელეიშვილის ეს ლექსიც არის:

ნუ იტირებ უწმინდესო,
ქრისტეს ცრემლით ნუ იტირებ,
რა ტკივილმა შეგაწუხა,
სული ასე სად იტკინე?
ღმერთსაც უკვირს, ჭირთა თმენა
მშვიდად როგორ დააძინე,
შენი ჯვარი ჩვენი ცოდვით,
დავტვირთეთ და დავამძიმეთ.
ნუთუ სულის მხრები გტკივა,
ნუთუ ამით აგატირეთ,
გვაპატიე ერს ცოდვები,
უწმინდესო, გვაპატიე.

31.10.2019

ამ ლექსთან დაკავშირებით კომენტარი ძალზე მოკლე აქვს „თეთრების“ ლიდერს. ბევრი საუბარი არც იყო საჭირო, მით უფრო, რომ თითოეული ჩვენგანი გრძნობს და განიცდის ავტორის გულწრფელი ცრემლების მადლს და მასთან ერთად სიყვარულს ერთსულოვნად მიაგებს ძაღლთაპირების მიერ ჯვარცმისთვის განწირულ, მაგრამ საყოველთაო სიყვარულით სიცოცხლეშენარჩუნებულ ერის სულიერ მამას.

ღმერთო, დიდხანს გვიცოცხლე უწმინდესი და უნეტარესი და შეაძლებინე, რომ ყველა სავლე გადიქცეს პავლედ!

ალექსანდრე შენგელია,
ქუთაისი

სოფიო კილაძე: მე ვიყავი ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი

სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაცია, რომ ერთ-ერთ დეპუტატზე ქმარმა იძალადა და მასზე შემაკავებელი ორდერი გაიცა, დადასტურდა.

ქალი, რომელზედაც ფსიქოლოგიური ძალადობა განხორციელდა „ქართული ოცნების“ დეპუტატი სოფიო კილაძეა.

დეპუტატის ინფორმაციით, ყოფილმა ქმარმა მასზე ფსიქოლოგიურად იძალადა, თუმცა დამატებით დეტალებზე საუბარი არ სურს. დეპუტატი ფიზიკურ ძალადობას არ ადასტურებს.

„დიახ, მე შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ ვიყავი ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი და მე ვარ მაგალითი, რომ ნებისმიერი ადამიანი, მათ შორის უფლებადამცველი, მათ შორის პარლამენტის წევრი, შეიძლება აღმოჩნდეს მსგავს სიტუაციაში. ამასთანავე, მე ვუფრთხილდები ჩემი გარშემომყოფი ადამიანების ემოციურ მდგომარეობას, მათ ჯანმრთელობას, ჩემს არასრულწლოვან შვილს და აქედან გამომდინარე შემიძლია, ვთქვა, რომ მეტ დეტალურ ინფორმაციას ვერ მოგაწვდით. ფიზიკურ ძალადობას არ ვადასტურებ, არ ვიცი, საიდან მოიტანეს ეს ინფორმაცია, თუ აქვთ ნანახი შემაკავებელი ორდერი, იქ იყო მხოლოდ ფსიქოლოგიური ძალადობა,“ — განაცხადა სოფიო კილაძემ.

გიორგი ანდრიაძე: თუ ოდნავ მაინც რეაბილიტაცია უნდა, მეუფე პეტრემ საქციელი უნდა მოინანიოს

პატრიარქის ფონდის მმართველი საბჭოს წევრი გიორგი ანდრიაძე მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკლესიაში მამათმავალი და ზნეობრივი ცოდვებით შეპყრობილი სასულიერო პირები თუ არსებობენ, ჭყონდიდის ყოფილმა მიტროპოლიტმა პეტრე ცაავამ ისინი უნდა დაასახელოს, ეკლესიამ კი მოიკვეთოს.

„ასეთი პირები თუ არსებობენ, არიან ჯერ კიდევ კომუნისტების, შემდეგ შევარდნაძისა და სააკაშვილის დროს უშიშროების მიერ სპეციალურად ჩანერგილები. მათი მიზანი იყო ეკლესიის რეპუტაციის შელახვა. არ გამოვრიცხავ, ასეთი პირები არსებობდნენ, მით უმეტეს, როცა ამას აცხადებს მეუფე პეტრე, რომელიც არის ფაქტობრივად ახალაიების ოჯახის წევრი. მას უნდა ჰქონდეს ინფორმაციები მთელი იმ ფაშისტური მანქანის შესახებ, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმი ერქვა“, — აცხადებს გიორგი ანდრიაძე.

ამასთან, ანდრიაძის აზრით, ჭყონდიდის ყოფილმა მიტროპოლიტმა საქციელი უნდა მოინანიოს. **„თუ ისევ იგივე ბრალდებები გაიმეორა, მარტივი ლოგიკაა, რა თქმა უნდა, მთლიანად მოიკვეთება. უფრო სწორად, თვითონვე ვერ გაჩერდება ამ სივრცეში“,** — განაცხადა გიორგი ანდრიაძემ.

ანდრია ჯაღმაიძე: ფილმში გეი-წყვილის სიყვარულზეა ლაპარაკი!..

გეი-წყვილის სიყვარულზეა **ლაპარაკი და ვხედავთ, რომ ეს არის სრულ წინააღმდეგობაში იმასთან, რასაც ქადაგებს ქრისტიანობა,** — ამის შესახებ საქართველოს „პირველ არხს“ საპატრიარქოს პრესსამსახურის უფროსმა ანდრია ჯაღმაიძემ ფილმზე „და ჩვენ ვიცეკვეთ“ საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, „საპატრიარქო არავის არ შეუერთდება“, თუმცა ამ ფილმის პროპაგანდა მიუღებელია.

„არაფერს ახალს არ ვიტყვით, თუ ვახსენებთ იმას, რომ ეკლესია მუდამ წინააღმდეგია რაიმე სახის გარყვნილების პროპაგანდისა. ანალოგიური დამოკიდებულება გვაქვს ამ შემთხვევაშიც, რადგან ვიცით ამ ფილმის შინაარსი — გეი-წყვილის სიყვარულზეა ლაპარაკი და ვხედავთ, რომ ეს არის სრულ წინააღმდეგობაში იმასთან, რასაც ქადაგებს ქრისტიანობა“, — განაცხადა ანდრია ჯაღმაიძემ, რომელიც ამ საკითხზე საპატრიარქოს განცხადების გავრცელებას არ გამორიცხავს.

გურამ ფალავანდიშვილი და დიმიტრი ლორთქიფანიძე მაყურებლებს კინოთეატრებში არ შეუშვებენ

„ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ თავმჯდომარე **გურამ ფალავანდიშვილი აცხადებს, რომ ფილმის „და ჩვენ ვიცეკვეთ“ პრემიერაზე მაყურებლებს თბილისისა და ბათუმის კინოთეატრებში არ შეუშვებენ. „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოებას“ მხარს უჭერს ყოფილი დეპუტატი დიმიტრი ლორთქიფანიძეც. ის არ გამორიცხავს, რომ „ამირანსა“ და „აპოლოში“ ჩვენების დროს ელექტროენერგია გაითიშოს.**

ფალავანდიშვილის განცხადებით, 8, 9 და 10 ნოემბერს კინოთეატრების პიკეტირებას მოახდენენ.

„პრაიდის შემდეგ კიდევ გვიწევს, ხელში ავიღოთ სახელმწიფოს ვალდებულება, რომ დავიცვათ ჩვენი შვილები და აღვასრულოთ კანონი. ჩვენი მძევალი სახელმწიფოა, ექვემდებარება სოდომისტურ მაფიას, კინოთეატრებში თავის შვილების გასარყვნელ სიბინძურეს მწვანე შუქი აუნთო. ქართველ ხალხს და ერს აქვს ვალდებულება, დაიცვას კანონი ყველა წესრიგის დაცვით, მაგრამ ფიზიკური ხელის შეშლით. არც ერთ კინოთეატრში არ უნდა მოხდეს ამ ფილმის ჩვენება“, — განაცხადა ფალავანდიშვილმა.

გურამ ფალავანდიშვილი მოუწოდებს მთავრობას, აღკვეთოს ფილმის ჩვენება.

◎ ვითხოვ სიტყვას!

დემოკრატია არ ნიშნავს დემაგოგიას, თავისუფლება არც თავგასულობის ნიშანსვეტია!

მართლაც რომ გაუკუღმართებულ დროში გვიწევს ცხოვრება. საქართველოს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ეგონა, თუ თავს დავაღწევდით კომუნისტურ რეჟიმს, მალე დამოუკიდებელ და დემოკრატიულ ქვეყანას ავაშენებდით და ბედნიერად ვიცხოვრებდით.

აგერ 30 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც კომუნისტური რეჟიმი დაიშალა და ქვეყანა კაპიტალისტური წყობის მშენებლობას შეუდგა, რამდენიმე პრეზიდენტი და მთავრობაც შევცვალეთ, ვინც მთავრობაში შემოსავლიანი ადგილები ვერ დაიკავა, ხელისუფლებას აუჯანყდა. პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია შეიარაღებული ამბოხის გზით აიძულეს, საქართველოს გასცლოდა, მეორე პრეზიდენტი შევარდნაძე ასევე „ვარდების რევოლუციის“ გზით დაამხეს, მესამე ხელისუფლება საქართველოს 9 წელი ედგა სათავეში, მაგრამ ვერც მან შეძლო ქვეყნის წინაშე არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტა, 2012 წლის 2 ოქტომბერს არჩევნებში დამარცხდა და „ქართული ოცნება“ მოვიდა სათავეში.

ახლახან შვიდი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ჩვენი „ოცნებების“ აღსრულების ნატვრაში გვიწევს ცხოვრება, ხალხის გასაჭირის დაძლევას კი საშველი არ დაადგა. ისევ ერთი და იგივე მოჯადოებულ წრეზე ვტრიალებთ. ვერ მოხერხდა ერის გამთლიანება და პოლიტიკური ძალების ერთი მიზნისკენ წარმართვა.

30 წელია, ერთსა და იგივე სახეებს ვუყურებთ, სხვის დაკრულზე ვცეკვავთ. არავის ესმის ხალხის ხმა, მისი გასაჭირი; ყველაზე გასაკვირი და კურიოზული ისაა, რომ ჩვენი პოლიტიკოსები მაღალი ტრიბუნიდან ერთს ლაპარაკობენ, იქიდან ჩამოსულები კი საწინააღმდეგოს აკეთებენ, მერე სხვაზე ფიქრობენ და ტელეეკრანებიდან თვალებში ნაცარს გვაყრიან.

ყოველივე კი იმის შედეგია, რომ 30 წელი ვერ ვეღირსეთ გონიერ, სამშობლოზე შეყვარებულ, მაღალპროფესიულ პოლიტიკოსებს, ჭკუადამჯდარ და დაბრძენებულ დიპლომატებს. ყველა კარგად ვხედავთ: პოლიტიკაში ხელმოცარული ადამიანები მოგვიმრავლდნენ, რომლებიც ვერ გრძნობენ პასუხისმგებლობას ქვეყნისა და ერის წინაშე.

ოპოზიციური პარტიების მხრიდან მმართველი პარტიის მიმართ გამოთქმული ცილისწამება, სიცრუე, ღირსების შემლახველი დაპირისპირებები, ქვეყნისადმი მავნებლური დამოკიდებულება ყოველგვარ ზღვარს სცილდება.

სამწუხაროა ისიც, რომ ოპოზიციური პარტიები პარლამენტში დემაგოგიური განცხადებებით და გამონათქვამებით იწონებენ თავს, რაიმე ღირებული წინადადება ან კანონპროექტი არ შეუტანიათ განსახილველად, სამაგიეროდ ბოიკოტის რეჟიმში აგრძელებენ ყოველდღიურ საქმიანობას, უსაგნო დებატებში გაჰყავთ დრო, მათთვის დემოკრატია — დემაგოგიის, ხოლო სიტყვის თავისუფლება თავგასულობისა და ლიბერასტობის ტოლფასია. ასეთ სიტუაციაში დღევანდელ ხელისუფლებას ხშირად თავის მართლების რეჟიმში უწევს მუშაობა, რაც დროის დაკარგვის ტოლფასია.

თვალნათლივ იგრძნობა: ქვეყანაში დესტაბილიზაციის მიღწევას ცდილობენ ნაცმოძრაობის განაყოფი პარტიები — „ევროპული საქართველო“, „გირჩი“ და მათი მიმდევრები, რომლებმაც 2012 წლიდან დღემდე ყველა არჩევნები წააგეს ქვეყნის მმართველ პარტიასთან, ახლა პროვოკაციის და გადატრიალების გზით აპირებენ ხელისუფლების ხელში ჩაგდებას. ამის კლასიკურ მაგალითად გამოდგება 20-21 ივნისს მოწყობილი ე.წ. „გავრილოვის ღამე“. როგორც გაირკვა რუსი დეპუტატის საქართველოში ჩამოსვლა და მისი საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა ყველა ოპოზიციონერი დეპუტატისთვის წინასწარ იყო ცნობილი, მაგრამ არავინ ხმა არ ამოიღო, როცა პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში დამჯდარი დაინახეს, მაშინ ატეხეს ხმაური. ამ ადამიანებს არა ქვეყნის, არამედ ვიწრო პარტიული ინტერესები ამოძრავებთ. ამიტომაცაა, რომ საშველი არ დაადგა ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანას.

არადა, საყოველთაოდაა ცნობილი: დემოკრატია არის ქვეყნის პოლიტიკური წყობა, როცა ხელისუფლება ხალხს ეკუთვნის, ქვეყნის ძლიერი დემოკრატიულობა ძირითადად ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფოს ხვედრია, ამასთან ქვეყნის დემოკრატიულობის განმსაზღვრელი ფაქტორია ადამიანის უფლებების დაცვა, ამ მიმართულებით უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა, რაც სამართლებრივი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნას ემსახურება.

მნიშვნელოვანია ქვეყანაში სიტყვისა და აზრის თავისუფალი გამოხატვის შესაძლებლობა. ამ მხრივ მედია ნამდვილად თავისუფალია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები სრულად ღიაა, მაგრამ ზოგიერთი ტელეკომპანია და ლიბერასტი ჟურნალისტი გასცდა ჟურნალისტური ეთიკის დაცვის ნორმებს და არცთუ იშვიათად გვესმის ხელისუფლების, პარლამენტის, მთავრობისა და ქვეყნის წინაშე დამსახურებული პიროვნებების მიმართ გამოთქმული ცილისმწამებლური, ღირსების შემლახავი, მავნებლური, სიცრუესა და ჭორზე დამყარებული ბრალდებები, ამ საქმეში არც საზღვარგარეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები ჩამორჩებიან, რომლებიც ფსევდო პატრიოტული დემაგოგიით გამოირჩევიან. ყოველგვარ ზღვარს სცდება ნაცმოძრაობის და მისი განაყოფების ზღვარგადაცილებული ანტისახელმწიფოებრივი გამონათქვამები, სარკაზმითა და შეურაცხყოფით აღსავსე გამოსვლები.

საპარლამენტო ოპოზიციის მოსაწონი არანაირი კანონპროექტი ან ხელისუფლების მიერ გაჟღერებული სიკეთე მათთვის მისაღები არაა. მესმის, ოპოზიცია კრიტიკული აზროვნებით უნდა გამოირჩეოდეს, მაგრამ მიუღებელია ნაცმოძრაობისა და „ევროპული საქართველოს“ ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგო დესტრუქციული მოქმედება, მავნე პოლიტიკური აზროვნება, რითაც ასე აშკარად გამოირჩევიან ამ პარტიების ლიდერები (გიგა ბოკერია, თინა ბოკუჩავა, ელენე ხოშტარია, მწუხარე სახის რაინდი, დონ კიხოტის პროტოტიპი — რომან გოცირიძე, ოთო კახიძე, კანდელაკი, ნიკა მელია, სამადაშვილი და სხვები, რომელთა გამოსვლები ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივია.

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, რომ ოპოზიციას არ მოსწონს ხელისუფლების მიერ სოციალური პრობლემების გადაწყვეტა, პენსიების და ხელფასების მომატება, ამას არჩევნებში ამომრჩეველთა მოსყიდვად მიიჩნევს, არც ის მოსწონს, რომ უკანასკნელ ხანს ხელისუფლება ამოძრავდა, გააქტიურდნენ სამინისტროები და დეპარტამენტები, ნამდვილად მასშტაბურია ცენტრშიც და რეგიონებშიც ინფრასტრუქტურული პროექტები, ისახება წინსვლის პერსპექტივა. არც ის მოსწონთ, როცა პარლამენტის უმრავლესობის დეპუტატები მკვეთრად პრინციპულ პასუხს სცემენ ხელისუფლების წინააღმდეგ გალაშქრებულ ოპონენტებს.

ზოგადად მივესალმები ოპოზიციური ძალების კონსტრუქციულ წინადადებებს, განსხვავებულ აზრს, ისინი ნამდვილად აფხიზლებენ ხელისუფლებას, მაგრამ მიმაჩნია, რომ დღევანდელი ოპოზიცია ავანტიურისტული, აგრესიული და არაკეთილმოსურნეა ქვეყნისა და ერის წინაშე. მოვუწოდებ, შეცვალონ რიტორიკა, იყვნენ კორექტულები თავიანთ გამოსვლებში და მეტად შემწყნარებლები რიგითი ადამიანების მიმართ, ნუ გაიხდიან თავს მასხრად და საგინებლად.

ვალერიან ლომიძე,
გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორი, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი

ჰუბერტ ქნირში: არაადამიანურობაზე დაფუძნებული საზღვრები დიდხანს ვერ იარსებებს

კარგი იქნებოდა, პასუხისმგებელ პირებს ცხინვალსა და მოსკოვში ბერლინის კედლის გაკვეთილები ესწავლათ: საზღვრები, რომლებიც ეფუძნება არაადამიანურობას, დიდხანს ვერ იარსებებს, — ამის შესახებ საქართველოში გერმანიის ელჩმა ჰუბერტ ქნირშმა განაცხადა საოკუპაციო რეჟიმის მიერ გადაადგილების შეზღუდვასთან დაკავშირებით. მისი თქმით, სამედიცინო საჭიროებებისას ადმინისტრაციული ხაზის გადაკვეთაზე აკრძალვის შემთხვევები კიდევ ერთხელ ნათლად აჩვენებს „ბორდერიზაციის“ ჰუმანიტარულ შედეგებს.

„ბოლო დღეების განმავლობაში ხშირად გვესმის, რომ სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო უწყებები მძიმე სამედიცინო შემთხვევების დროსაც კი მოქალაქეებს ადმინისტრაციული ხაზის გადაკვეთას უკრძალავენ. ამ შემთხვევაში კიდევ ერთხელ ნათელი ხდება ეგრეთ წოდებული „ბორდერიზაციის“ ჰუმანიტარული შედეგები. კარგი იქნებოდა, პასუხისმგებელ პირებს ცხინვალსა და მოსკოვში ბერლინის კედლის გაკვეთილები ესწავლათ: საზღვრები, რომლებიც ეფუძნება არაადამიანურობას, დიდხანს ვერ იარსებებს“, — განაცხადა საქართველოში გერმანიის ელჩმა ჰუბერტ ქნირშმა.

საქართველოში შესაძლოა, საოჯახო ტიპის პენიტენციური დაწესებულება დაინერგოს

საქართველოში შესაძლოა, საოჯახო ტიპის პენიტენციური დაწესებულება დაინერგოს. ამის შესახებ ნიდერლანდებში ვიზიტად მყოფმა საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა.

„ჩვენი განსაკუთრებული ინტერესის საგანია ის რეფორმა, რომელიც ნიდერლანდებშიც კი ამჟამად საპილოტე რეჟიმში მიმდინარეობს. ვფიქრობ, ჩვენ შეგვიძლია, მსგავსი რამ საქართველოში დავნერგოთ. საქმე ეხება საოჯახო ტიპის პენიტენციურ დაწესებულებას, სადაც ერთი და იმავე დაბალი რისკის, ერთი და იმავე სასწავლო ინტერესებისა და მისწრაფებების მქონე რამდენიმე არასრულწლოვანი თავსდება და ოჯახურ გარემოში ცხოვრობს გათავისუფლებამდე“, — განაცხადა იუსტიციის მინისტრმა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამუშაო ვიზიტის მიზანი ნიდერლანდების არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროს პოლიტიკის, სერვისების, არასრულწლოვანთა პენიტენციური დაწესებულებისა და პრაქტიკის შესწავლაა. როგორც სამინისტროში აცხადებენ, ნიდერლანდების გამოცდილების გაზიარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოში პრობაციისა და პენიტენციურ სფეროებში მიმდინარე რეფორმის წარმატებისათვის.

„ვიზიტებია დაგეგმილი ამსტერდამის არასრულწლოვანთა საოჯახო ტიპის პენიტენციურ დაწესებულებაში, ასევე, მაღალი რეციდივის არასრულწლოვან მსჯავრდებულთა დეპარტამენტსა და არასრულწლოვანთა საშუალო რისკის დაწესებულებებში. დელეგაციის წევრებს საშუალება ექნებათ, გაეცნონ, თუ რა სერვისებს სთავაზობს სახელმწიფო პატიმარ ბავშვებს და როგორ ზრუნავს მათ რეაბილიტაცია-რესოციალიზაციაზე. ვიზიტი ნიდერლანდებში ევროკავშირის მხარდაჭერის პროექტის თანადგომითა და დაფინანსებით ხორციელდება“, — აცხადებენ იუსტიციის სამინისტროში.

ოჰ, ეს მოუხელთებელი ინვესტიციები, უმუშევრობა, სიღუხჭირე...

ადრეც ვწერდი და ახლაც ვიმეორებ — მას შემდეგ, რაც საბჭოეთს გამოვეთხოვეთ, უფროსი ძმის მფარველობიდან გამოვეხსენით და დამოუკიდებლად ცხოვრება დავიწყეთ, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე „არნახულ“ წარმატებებს მივაღწიეთ. თუმცა, ალბათ, ახლა იმის დავიწყება შეიძლება, იმ „დაწყევლილი“ კომუნისტური მმართველობის ხანაში როგორ ხმაშეწყობილად გუგუნებდნენ ფაბრიკა-ქარხნები, როგორ იქმნებოდა ეკონომიკა და იდევნებოდა უმუშევრობა, არ იყო კრიზისები და შიმშილი, ვალუტის წარამარა გაუფასურება და ფასების ავარდნა-ჩამოვარდნის ეპიდემია. რაღა თქმა უნდა, მაშინ არც ინვესტორი ჩანდა სადმე, წაქცეული ეკონომიკისთვის ხელი რომ წაეშველებინა და ფეხზე წამოეყენებინა...

ეს მაშინ, მაგრამ რა ხდება დღეს?

დღეს სულ სხვა ცხოვრება წამოვიდა. როგორც იქნა, კომუნიზმს თავი დავაღწიეთ და დემოკრატიულ საქართველოს ვაშენებთ, რომლისთვისაც უცხოა სახელმწიფო დიქტატი და ერთმმართველობა, მაგრამ ნაცნობია ეკონომიკური კრიზისები, სამუშაო ადგილების კატასტროფული სიმცირე, უმუშევრობა და სიღატაკე, მსხვილ კომპანიათა კარტერული გარიგებები და ფასების უცაბედი ავარდნები, რასაც საქართველო უკვე წლებია საკუთარ ზურგზე განიცდის. აი, ინვესტიცია და ინვესტორი კი, რომელთა სახსენებელიც კი არ იყო, ახლა ქვეყნის ეკონომიკის მამოძრავებელ ძალად იქცნენ. მთავრობა ვინ გახლავთ, რომ სამუშაო ადგილების შექმნაში ჩაერიოს. დღეს მას და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკასაც, ბიზნესმენები და ინვესტორები ქმნიან.

ამიტომაც, რადგან ეკონომიკისა და ბიზნესის ღერძი ინვესტიციებზე ტრიალებს, მთელი ქვეყანა, მთავრობის ჩათვლით, უცხოური ინვესტიციების მოძიება-მოზიდვაზეა გადასული. ინვესტირების მოსახიბლად და მოსაზიდად ენერგიას არ იშურებენ უცხოეთში ვიზიტად მყოფი პრეზიდენტი თუ პრემიერი, მინისტრი თუ პარლამენტარი. ოღონდაც საინვესტიციო თანხის გაღება ინებონ და მათთვის საქართველოში უმშვენიერესი ბიზნესგარემოა შექმნილი (მსოფლიო ქვეყნებს შორის ბიზნესის კეთების სიმარტივით საქართველო მე-7 ადგილზეა), მაგრამ ამის მიუხედავად, ინვესტორები არც თუ იშვიათად რატომღაც ფეხს ითრევენ ჩვენთან საურთიერთობო რისკისგან. არადა, ბოლო წლებში ჩვენში გახშირებულ საერთაშორისო ფორუმებზე გაფორმებული კონტრაქტები, სტრატეგიული და სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების გულუხვი დაპირებები სულ სხვა შედეგს უნდა იძლეოდნენ. ყოველ შემთხვევაში ისეთს მაინც არა, როგორსაც სტატისტიკა გვაუწყებს: ბოლო პერიოდში საქართველოში თურმე უცხოური ინვესტიციების შემოდინებამ მატების ნაცვლად იკლო(!)

ამ უსიამოვნო ინფორმაციის და ასევე, იმ სამწუხარო აურის გამო, რაც ბოლო პერიოდში ანაკლიის პორტის მშენებლობასთან დაკავშირებით შეიქმნა, შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ქვეყანაში ინვესტიციები მოზიდვის ნაცვლად როგორღაც განიზიდება. ამის მიუხედავად, ხელისუფლება იმედიანადაა განწყობილი და მიაჩნია, რომ მშენებარე პორტი უაღრესად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობისაა და მიუხედავად გადავადებებისა, ის უეჭველად განხორციელდება. **„ჩვენ ასეთი უპრეცედენტო მხარდაჭერა სხვა პროექტების მიმართ არ გამოგვიხატავს,** — აცხადებს ეკონომიკის მინისტრი ნათია თურნავა, — **აქედან გამომდინარე, ვერ ვხედავ, რომ აღნიშნული პროექტი საფრთხის ქვეშ დგებოდეს“**.

სამაგიეროდ, ამ საფრთხის გამო არც თუ იშვიათად გამოთქვამს შეშფოთებას თავად მშენებარე პორტის კონსორციუმის ხელმძღვანელობა, რომელიც ხელისუფლებას დღემდე მოძიებულ ინვესტორებთან საქმიანი შეხვედრებისა და საკონტრაქტო ურთიერთობების მოუმზადებლობაში ადანაშაულებს, მაგრამ არაფერს ამბობს თავის მიერვე საიმედო ინვესტორად შერჩეულ ამერიკულ კომპანია „კონტი-ჯგუფის“ საქციელზე, რომელმაც ორი წლის ზოზინის შემდეგ შეპირებული საინვესტიციო თანხის გაღებაზე უარი განაცხადა და კონსორციუმიდან უპრაგონოდ გავიდა. თუმცა, მართლა გავიდა თუ მაინც დარჩა, დღემდე გაურკვეველია(!)

გაუგებარია ბოლო პეროდში ვითომ პოლიტიკოსად მოვლენილ, მაგრამ საზოგადოებისთვის ხალხის მძარცველ ბანკირად ცნობილ მამუკა ხაზარაძის ქმედებაც, რომელიც პორტის მშენებლობაში არსებული ჩავარდნებისთვის პირად პასუხისმგებლობას გაურბის და ყველაფერს ხელისუფლებასა და ქვეყნის „მიმსაკუთრებელ“ მილიარდერს აბრალებს. როცა სხვის მილიარდებზე ლაპარაკობს, რატომღაც ავიწყდება თავისი 64 მილიონი, რომელიც ხალხის მიერ მაშინდელ შემნახველ სალაროებში შეტანილი თანხიდან 1992 წელს ყაჩაღურად მიისაკუთრა. ჰოდა, ახლა სხვებს რომ ამუნათებს, პორტის ასაშენებლად თავადაც რომ გაეღო ინვესტიცია, ვითომ ღმერთი გაუწყრებოდა?!

კარგი, მოვეშვათ ხაზარაძეს, მილიონერმა ბანკირმა იქით არ წაგვართვას ფული (იცოცხლეთ, ამაში დახელოვნებულია), თორემ აქეთ რას მოგვცემს. აი, ჩვენი ერთგული სტრატეგიული პარტნიორისგან კი (ამერიკაზეა საუბარი), რომელსაც შავი ზღვის აკვატორიაში თავადაც აქვს გარკვეული ინტერესები, საკვირველია, დღემდე რატომ ვერ გამონახა ისეთი საიმედო ინვესტორი, რომელიც ანაკლიის კონსორციუმში ხალხის საჩვენებლად კი არა, საქმის საკეთებლად მოვიდოდა?!

აქვე უნდა ვთქვა, ინვესტიციების მოზიდვა, ინფრასტრუქტურის გაფართოება-განვითარება ფრიად სასარგებლო საქმეა ქვეყნისა და ხალხისთვის, მაგრამ უფრო არსებითია ახალი საწარმოების შენება-ამოქმედება, უმუშევართა დასაქმება, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, რომელთა გარეშე არ არსებობს ეკონომიკის ზრდის პერსპექტივა. პროდუქციის მწარმოებელი მეურნეობა ასაზრდოებს ეკონომიკას და არა იმპორტზე ჩამოკიდებული მეურნეობა (ჩვენ სწორედ ასეთები ვართ). **ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა ბელარუსი, რომელიც დიდი რაოდენობით სოფლის მეურნეობის ნატურალურ პროდუქციას აწარმოებს, საკუთარ ბაზარსაც აკმაყოფილებს და საზღვარგარეთის ქვეყნებშიც წარმატებით ასაღებს. ალექსანდრე ლუკაშენკოს რამდენიც უნდა ვეძახოთ დიქტატორი, ფაქტია, რომ ბელარუსი მიწას რაციონალურად იყენებს, დემოკრატიის შუქურად აღიარებულ საქართველოში კი იმდენი მიწებია მიტოვებული, ისინი რომ დროულად მუშავდებოდეს, ქვეყანაში სამი-ოთხჯერ მეტი მოსავლის მიღება შეიძლებოდა.**

ხშირად მთავრობა ქვეყანაში გატარებული რეფორმებით, ყოველწლიურად ეკონომიკის 5-პროცენტიანი ზრდით, ხელფასებისა და პენსიების მატებით, სხვა სახის სახარბიელო სტატისტიკური მონაცემებით გვეტრაბახება, რის უკანაც დგას რეალობა — ქრონიკული უმუშევრობა, სიღარიბე, საარსებო პირობების საძიებლად უცხოეთის ქვეყნებში გადახვეწა, სხვა უამრავი პრობლემა. ამის დასტურია შიმშილობის მსოფლიო ინდექსის მონაცემი, რომლის მიხედვითაც საქართველოს 29-ე ადგილი უკავია. ჩვენზე უკეთესი პოზიცია აქვთ რუსეთს, უკრაინას, ბელარუსს, აზერბაიჯანს, სომხეთს, ყირგიზეთს, ყაზახეთს, თურქმენეთს, უზბეკეთს...

ჰოდა, ამის შემხედვარეს შეიძლება, უმწვავესი კითხვაც დაგებადოს — თუ ჩვენი ეკონომიკა მდგრადია და რეგიონში ყველაზე სწრაფად იზრდება, მაშინ ჩვენს მეზობელ რუსეთზე, აზერბაიჯანსა და სომხეთზე მეტად როგორღა ვშიმშილობთ?! ამ გაუგებრობაზე პასუხს ხალხი ახლავე თუ არა, მომდევნო არჩევნების დღეებში მაინც აუცილებლად მოსთხოვს ხელისუფლებას.



ოთარ ხუციშვილი

სახელმწიფომ ექიმების ნორმალური ანაზღაურება უნდა უზრუნველყოს!

„ექიმს თუ სწორად აქვს დრო გადანაწილებული და პროფესიულად ემსახურება პაციენტებს, არა აქვს მნიშვნელობა რამდენ ადგილას იმუშავებს. თუმცა, რატომ უნდა იმუშაოს ექიმმა ორ ადგილზე მეტად? ეს სავსებით საკმარისია, მაგრამ ამ შემთხვევაში სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ექიმებს ნორმალური ანაზღაურება ჰქონდეთ ამ ორ ადგილას. გარდა ამისა, არ უნდა გაიხსნას ამდენი ახალი კლინიკა, პირიქით, მათი რაოდენობა უნდა შემცირდეს,“ — ასე შეაფასა პედიატრმა თემურ მიქელაძემ, ინიციატივა, რომლის მიხედვითაც ექიმებს შესაძლოა, ორზე მეტ კლინიკაში მუშაობა აეკრძალოთ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის **თამარ გაბუნიას** განმარტებით, არის შემთხვევები, როცა კონკრეტული სპეციალობის ექიმი რამდენიმე ადგილზე მუშაობს, რის გამოც იქმნება არაერთი პრობლემა, მათ შორის გადაუდებელი შემთხვევების დროს საავადმყოფოში ექიმის დროულად მისვლის. მინისტრის მოადგილის თქმით, სწორედ ასეთი რისკების შემცირებას უზრუნველყოფს აღნიშნული ინიციატივა.

ამ ფაქტს ეთანხმება, თუმცა კომერციული კლინიკების რაოდენობის ზრდაზე და სპეციალისტების არასათანადო კვალიფიკაციის პრობლემაზე საუბრობს ბოხუას კლინიკის ანგიოქირურგი, პროფესორი კოტე ყიფიანი და აღნიშნავს, რომ უნდა მოხდეს სტაციონარების მკაცრი რეგულირება მრავალი კომპონენტით, რათა სახელმწიფო დარწმუნდეს, რომ იმ ფულით, რომელსაც მათზე გასცემს, მოსახლეობას კვალიფიციურად ემსახურებიან.

„ჩვენს ქვეყანაში, ევროპულ ქვეყნებთან შედარებით, კლინიკების რაოდენობა უჩვეულოდ დიდია და უმეტესი მათგანი თბილისშია თავმოყრილი. ყველგან ხსნიან კომერციულ კლინიკას, მაგრამ არ ჰყავთ სპეციალისტები. შეუძლებელია, ყველა კლინიკას ჰყავდეს მუდმივი და კარგი სპეციალისტი, მითუმეტეს, რომ ნამდვილი სპეციალისტები საქართველოში ძალიან ცოტაა. ამიტომ ისინი მომთაბარე პერსონები გახდნენ. ერთ დღეში სპეციალისტი ცდილობს, მოიაროს რამდენიმე კლინიკა, რაც მისთვის ფინანსურად სარგებლიანია, თუმცა აქ უკვე ექიმობა არაფერ შუაშია, ის ხდება ხელოსანი. ჩემს კლინიკაში ეს მიუღებელია. უცხოეთშიც არის კომერციული კლინიკები, თუმცა ასეთი მასობრივი ხასიათი, როგორიც ამან საქართველოში მიიღო - დამღუპველია“, - განმარტავს კოტე ყიფიანი.

ექიმებისთვის ორზე მეტ კლინიკაში მუშაობის აკრძალვა ჯანდაცვის ექსპერტის ვატო სურგულაძის ვარაუდით, მათთვის შრომის ანაზღაურების შემცირებას გამოიწვევს.

„აკრძალვა მიუღებელია, სახელმწიფომ უნდა მისცეს ექიმებს ღირსეული ანაზღაურება და ის თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებს, რომ არ იმუშაოს რამდენიმე კლინიკაში. იმისათვის, რომ ექიმმა არჩინოს თავისი ოჯახი, მთელი დღე-ღამის განმავლობაში მუშაობს რამდენიმე კლინიკაში, წარმოუდგენელია ასეთი გრაფიკით მუშაობა და მორიგეობათა გადაბმა, ამიტომაც ვარდება ხარისხი და ამიტომ გვაქვს ჯანდაცვის სექტორში ცუდი მონაცემები,“ — აღნიშნავს ვატო სურგულაძე.

ნინო თამაზაშვილი

სოსო არჩვაძე:

ხელისუფლება „ხელს იბანს“ იმ უმნიშვნელოვანესი ინდიკატორის გაანგარიშებაზე, რომელზეც ორიენტირებული უნდა იყოს სახელმწიფო

„საქსტატი“ საარსებო მინიმუმს დაითვლის თუ არა, ამით პრობლემა არ მოიხსნება. მისი დათვლა შეიძლება, თავის თავზე აიღოს რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ ან ექსპერტთა ჯგუფმა ან ცალკე ინდივიდუალურმა პირმა. თუმცა, ეს არ იქნება ოპტიმალური გადაწყვეტილება, ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლება საერთოდ „ხელს იბანს“ იმ უმნიშვნელოვანესი ინდიკატორის გაანგარიშებაზე, რომელზეც ორიენტირებული უნდა იყოს მისი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა. ჩვენ პირიქით, უნდა ვიზრუნოთ, რომ ისეთი საარსებო მინიმუმი გვქონდეს, რომელიც მაქსიმალურად მიუახლოვდება სიღარიბის ზღვარს. ჩემი სურვილია, რომ ქვეყნის საარსებო მინიმუმი შინაარსობრივად და ტექნოლოგიურად ასცილდეს სიღარიბის ზღვარს“, — ასე შეაფასა ეკონომისტმა სოსო არჩვაძემ „საქსტატის“ აღმასრულებელი დირექტორის განცხადება, საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მეთოდოლოგიის გადახედვასა ან საერთოდ გაუქმებასთან დაკავშირებით.

როგორც გოგიტა თოდრაძემ განცხადა, კონკრეტული ნაბიჯები ჯერ დაგეგმილი არ არის, თუმცა არ გამორიცხავს, რომ საარსებო მინიმუმის გადახედვის ან გაუქმების შესახებ პარტნიორ უწყებებთან და დაინტერესებულ პირებთან საუბარი ჰქონდეს.

„საარსებო მინიმუმის გაანგარიშებისას „საქსტატი“ ეფუძნება მინიმალურ სასურსათო კალათას, რომელიც ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებითაა განსაზღვრული. არსებული მეთოდოლოგიით, ხდება მინიმალურ სასურსათო კალათაში შემავალი პროდუქტების ფასებზე დაკვირვება და საარსებო მინიმუმის გაანგარიშება. საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მეთოდოლოგიის ცვლილება მხოლოდ „საქსტატის“ კომპეტენციას არ წარმოადგენს. მეთოდოლოგიის ცვლილება ხდება მთავრობის დადგენილებით და ინიცირების უფლება ერთობლივად „საქსტატს“, ჯანდაცვის, ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებს აქვთ“, — აცხადებს გოგიტა თოდრაძე.

2019 წლის სექტემბრის მონაცემების მიხედვით, შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 189.9 ლარია, საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი — 168.2 ლარი, ხოლო საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი — 318.6 ლარი.

ნინო თამაზაშვილი

ბანკების რეიტინგი წმინდა მოგების მიხედვით

10 ყველაზე მომგებიანი ბანკის წმინდა მოგებამ 2019 წლის III კვარტალის ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით 645 855 314 ლარი შეადგინა. ამის შესახებ ინფორმაციას ეროვნული ბანკი ავრცელებს.

საანგარიშო პერიოდში მთლიანად საბანკო სექტორის მოგებამ 655 825 038 ლარი შეადგინა. ანგარიშგებების მიხედვით, 2019 წლის III კვარტალში **ყველაზე მეტი მოგება „თიბისი ბანკმა“** მიიღო, რომლის წმინდა მოგებამაც საანგარიშო პერიოდში — 268 253 289 ლარი, დარეზერვებამდე წმინდა მოგებამ — **423 269 200 ლარი,** მის მიერ გადახდილმა მოგების გადასახადმა კი — **26 709 179 ლარი** შეადგინა.

მეორე ადგილზეა „საქართველოს ბანკი“, რომელსაც III კვარტალის მონაცემებით, **262 755 787 ლარის** ოდენობის წმინდა მოგება ჰქონდა. დარეზერვებამდე წმინდა მოგებამ **418 489 488 ლარი** შეადგინა. ხოლო მოგების გადასახადის სახით ბანკმა — **27 500 000 ლარი** გადაიხადა.

წმინდა მოგების მონაცემებით პირველ ორ ბანკს მნიშვნელოვნად ჩამორჩება **„ტერა ბანკი“,** რომლის წმინდა მოგებამ საანგარიშო პერიოდში 20 360 353 ლარი შეადგინა.

მე-4 და მე-5 პოზიციებს რეიტინგში **„ქართუ ბანკი“ და „კრედო ბანკი“** იკავებენ. მათმა წმინდა მოგებამ მიმდინარე წლის სამ კვარტალში, შესაბამისად, **18 894 816 და 17 750 855 ლარი** შეადგინა.

მე-6 ადგილზეა „ლიბერთი ბანკი“, რომლის წმინდა მოგებამაც საანგარიშო პერიოდში **16 161 550 ლარი** შეადგინა, მას **14 303 833 ლარიანი** წმინდა მოგებით — **„ბაზისბანკი“** მოსდევს.

მე-8 ადგილს „პროკრედიტ ბანკი“ იკავებს, რომლის წმინდა მოგებაც საანგარიშო პერიოდში **13 333 559 ლარი** იყო, ხოლო მე-9 ადგილზე „ვითიბი **ბანკი ჯორჯიაა“ 8 685 770 ლარის** წმინდა მოგებით. რეიტინგს **„იშ ბანკი საქართველო“** ასრულებს, რომელმაც 2019 წლის III კვარტალი **5 355 502-ლარიანი** წმინდა მოგებით დაასრულა. სხვა კომერციული ბანკების წმინდა მოგება კი საერთო ჯამში **9 969 724 ლარს** გაუტოლდა.

10 კომერციული ბანკი წმინდა მოგების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით:

„თიბისი ბანკი“ — 268 253 289 ლარი;
„საქართველოს ბანკი“ — 262 755 787 ლარი;
„ტერა ბანკი“ — 20 360 353 ლარი;
„ქართუ ბანკი“ — 18 894 816 ლარი;
„კრედო ბანკი“ — 17 750 855 ლარი;
„ლიბერთი ბანკი“ — 16 161 550 ლარი;
„ბაზისბანკი“ — 14 303 833 ლარი;.
„პროკრედიტ ბანკი“ —13 333 559 ლარი;
„ვითიბი ბანკი ჯორჯია“ — 8 685 770 ლარი;
„იშ ბანკი საქართველო“ — 5 355 502 ლარი.

ნინო თამაზაშვილი

საშუალო ხელფასი სხვაგვარად უნდა დაითვალოს, ხოლო მინიმალური - შეიცვალოს

სახელფასო ანაზღაურებასთან დაკავშირებით ერთბაშად ორი ინიციატივა ამოტივტივდა. ერთი მათგანი მინიმალურ ხელფასს ეხება, მეორე — საშუალოს. რა შეიცვლება ამით დასაქმებულთათვის, ამ ეტაპზე დეტალური საუბარი ცოტა არ იყოს ძნელია.

სტატისტიკის ეროვნული სამსახური მომავალი წლიდან საშუალო ხელფასის გამოთვლის არსებული მეთოდოლოგიის ალტერნატიულ ვარიანტზე იმუშავებს. ინფორმაცია „საქსტატის“ აღმასრულებელმა დირექტორმა **გოგიტა თოდრაძემ** დაადასტურა. მისი განცხადებით, სტატისტიკის სამსახური საშუალო ხელფასს თავისი კვლევების საფუძველზე ითვლის.

„მინდა, გაცნობოთ, რომ მომდევნო წლიდან საშუალო ხელფასის ალტერნატიულ ვარიანტზე ვიმუშავებთ, ანუ ადმინისტრაციული მონაცემების დამუშავების საფუძველზე გვექნება შესაძლებლობა, ჩვენს მომხმარებლებს მედიანური ხელფასის მაჩვენებელი შევთავაზოთ“, — განაცხადა გოგიტა თოდრაძემ.

„საქსტატის“ მონაცემებით, მიმდინარე წლის მეორე კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ნომინალური ხელფასი თვეში1179.8 ლარს შეადგენს.

ანაზღაურების ნაწილში არის სხვა ინიციატივაც, რომელიც სამთავრობო უწყებებს სულაც არ ეკუთვნის. საუბარია, რომ მინიმალური ხელფასი საქართველოში, შესაძლოა, თვეში არანაკლებ 320 ლარით განისაზღვროს. აღნიშნულთან დაკავშირებით, პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივა პროფკავშირების გაერთიანებამ შეიტანა.

დღეის მდგომარეობით, საქართველოში, კერძო სექტორში მინიმალური ხელფასი 20 ლარია, კანონპროექტის მიხედვით კი, თვეში არანაკლებ 320 ლარით განისაზღვრება, რაც საშუალო ხელფასის 30%-ს შეადგენს და საერთაშორისო პრაქტიკაა.

„ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით მინიმალური ხელფასი ყოველწლიურად გადაიხედება. კანონის მიღება გავლენას მოახდენს 130 000 დასაქმებულზე, ანუ დაქირავებით დასაქმებულთა 15%-ზე, რომელთა ხელფასიც თვეში 320 ლარზე ნაკლებია. კანონპროექტის რეგისტრაციის შემდეგ საჭირო იქნება 30 000 ხელმოწერის შეგროვება და პარლამენტში წარდგენა“, —აღნიშნულია პროფკავშირების ინფორმაციაში.

იურისტ **აკაკი ჩარგეიშვილის** აზრით, შრომის მინიმალური ანაზღაურების ზღვარის დადგენა არის ის ლოგიკა და შედეგი, რომლისკენაც ნელ-ნელა უნდა წავიდეთ, თუკი ნამდვილად გვინდა ევროპული ოჯახის წევრობა.

„საქართველოში შრომის ბაზარი განუვითარებელია და ინვესტიციების გარდა, საკანონმდებლო ბაზამაც უნდა შეუწყოს მის განვითარებას ხელი. მოგეხსენებათ, ზღვარგადასული თავისუფლების რეჟიმშია ბევრი ბიზნესი და რეგულაციების მიღმაა დარჩენილი არაერთი საწარმო. ჩვენ მივეჩვიეთ ასე ცხოვრებას და დასაქმებულის უფლებების შელახვას, სანამ სავალალო პრობლემების წინაშე არ აღმოვჩნდებით ხოლმე. ამიტომ ფორსმაჟორის გარეშე უნდა მიიღებოდეს მსგავსი ინიციატივები“, — აცხადებს ჩარგეიშვილი.

ბექა დანელია

მესტიაში წყალარინების გამწმენდი ნაგებობა აშენდება

ტურისტულ ზონებში მწვანე ინფრასტრუქტურის მოწესრიგება გრძელდება. გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის, წყალარინების (კანალიზაციის) გამწმენდ ნაგებობას ამჯერად მესტიაში ააშენებს. გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ინფორმაციით, შესაბამის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორმა ეკატერინე გალდავამ და ერთობლივი საწარმო „**Toshiba&In-Si**“-ის წარმომადგენელმა ზვიად თოიძემ.

მესტიაში კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობა დღემდე არ არსებობს. პროექტის ფარგლებში აშენდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი წყალარინების გამწმენდი ნაგებობა, რომელიც ჩამდინარე წყლების წმენდას სრული ბიოლოგიური ციკლის დაცვით განახორციელებს, რაც მინიმუმამდე დაიყვანს ეკოლოგიური დაბინძურების საფრთხეს.

საქართველოდან ღვინის ექსპორტი 11 პროცენტით გაიზარდა

მიმდინარე წლის იანვარ-ოქტომბერში, საქართველოდან მსოფლიოს 53 ქვეყანაში 75,6 მლნ-მდე ბოთლი (0,75 ლ) ღვინოა ექსპორტირებული. ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, აღნიშნული მონაცემები 2018 წლის ამავე მაჩვენებელს 11 პროცენტით აღემატება. ექსპორტირებული ღვინის ღირებულება კი, 195 მლნ აშშ დოლარს აღწევს, რაც 2018 წლის ანალოგიურ მონაცემზე 20 პროცენტით მეტია.

ღვინის ეროვნული სააგენტო განმარტავს, რომ ექსპორტი გაიზარდა ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე, მათ შორის, აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, პოლონეთსა და ჩინეთში. ღვინის ყველაზე მსხვილი ექსპორტიორი ქვეყნების ათეულია: რუსეთი, უკრაინა, ჩინეთი, პოლონეთი, ყაზახეთი, ბელარუსი, ლატვია, აშშ, ლიეტუვა და ესტონეთი. ამასთან, მიმდინარე წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველოდან მსოფლიოს 23 ქვეყანაში ექსპორტირებულია 23,8 მლნ ბოთლი ბრენდი, მსოფლიოს 27 ქვეყანაში კი, ექსპორტირებულია 521,7 ათასი ბოთლი ჭაჭა. მთლიანად საანგარიშო პერიოდში ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, საბრენდე სპირტისა და ჩამოსასხმელი ბრენდის ექსპორტის შედეგად მიღებულმა თანხამ 284 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ნუ დაკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა!

ჩემმა წერილმა – **„ნოეს გზით თუ ილიას გზით?“** („სრ“, 17.10.2019), პოლემიკა გამოიწვია, რაც ცუდი არ არის, რადგან კამათში იბადება ჭეშმარიტება. თუმცა კამათს მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა მოკამათეებს საკუთარი აზრები საბოლოო ინსტანციის ჭეშმარიტებად არ მიაჩნიათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი კამათი ქართული „თოქშოუების“ კლიენტთა ურთიერთლანძღვას დაემსგავსება. იმედია, ჩვენი კამათი ჭეშმარიტებას დაბადებს. ჰეგელის თქმით, „ჭეშმარიტება ღმერთია და ღმერთია მხოლოდ ერთადერთი ჭეშმარიტება“. და ჭეშმარიტება, როგორც ღმერთი, აერთიანებს; ხოლო სიცრუე, როგორც სატანა – ყოფს.

1990-1991 წწ. ეროვნულ მოყოფილ ქართულ სინამდვილეში მრავალგზის დაისვა კითხვები: სათი მივედიგარო? რას ვეძებრაგეთო? სწორია ეს ის, რასაც ეძებდნენ? რა იქნება ხვალ, მერსედესებიანი? – ამ კითხვების დასმა სრულიად ბუნებრივი და ჯანსაღობური იყო მაშინ. 30 წლის წინათ და დღესაც. უამრავი საპოლემიკო კითხვიდან ყველაზე მნიშვნელოვანი და საჭირო ორიენტაციის სხვაობა ოფი დღესაც ორიენტაციის ორიენტაციის თაობაზე, თუმცა ეს უმეცრესობას არ გამოთქვამს. ღმერთის ადამიანნების გამოსატვის, ორწყლის ადამიანების ერიქვნი ყოველთვის ჭეშმარიტი არ არის.

ᲓᲦᲔ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲐᲜᲯᲔᲚᲐ ᲛᲝᲜᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲕᲐᲛᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡ: „ᲛᲘᲜᲐᲠᲘᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲘᲓᲘᲮᲐᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲗᲣ ᲐᲠᲐ?“

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘᲐ

რევოლუცია მონათმფლობელობის ეპოქის თავისუფლების ეპოქით შეცვლას გულისხმობს, რაც უმსხვერპლოდ არ ხდება. ასე იყო ოლივერ კრომველის დროს ინგლისშიც და რობესპიერის დროს საფრანგეთშიც. ბავშვები, ამ უბედურების დროს, არა მარტო უდედმამოდ რჩებიან და მძიმე ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ იზრდებიან, არამედ საერთოდ ვერ იზრდებიან, რადგან დედ-მამასთან ერთად იღუპებიან. ასე ხდებოდა რუსეთის რევოლუციის დროსაც, სანამ სტალინმა არ აღიმაღლა ხმა, მშობლებთან ერთად ბავშვების ზედ მიყოლების წინააღმდეგ: Сын за отца не отвечает! („შვილი მამის დანაშაულზე პასუხს არ აგებს!“).

გერმანია-საბჭოთა კავშირის ომი ქართველების ომიც იყო, რამდენადაც ჰიტლერი არც ქართველებს მიაკუთვნებდა არიულ რასას, ასიათასობით ადამიანის დაღუპვა და დასახიჩრება კი ომის კანონია.

ომის დროს ეროვნული მოძრაობის ახალგაზრდა თავკაცები ფრონტზე უნდა ყოფილიყვნენ და არა ზურგში, რომ ნაციონალისტური დესტრუქციით ზურგში დანა ჩაერტყათ რასისტულ გერმანიასთან მებრძოლი ინტერნაციონალური სახელმწიფოსათვის. **1956 წლის 9 მარტის ტრაგედია, ისევე როგორც 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია საბჭოთა კავშირის დანგრევის პერიპეტიებია და მათი საბჭოთა რეჟიმისათვის მიწერა ისტორიის გაყალბების მცდელობაა.** საბჭოთა რეჟიმი (სტალინის დროს), როგორც ზემოთ სწორად წერს ბ-ნი ვახტანგი, არეულობისათვის თავკაცებს აგებინებდა ხოლმე პასუხს და არა ხალხს; პოსტსაბჭოთა რეჟიმები კი, პირიქით, ხალხს აგებინებს ხოლმე პასუხს და არა თავკაცებს!

ვახტანგ გურული რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის და რუსეთის მეხუთე კოლონის წისქვილზე წყლის დასხმას მაბრალებს: **„ანდრეი ეპიფანცევი და ომარ ხახაშვილი რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის და რუსეთის მეხუთე კოლონის წისქვილზე ასხამენ წყალს!“**

მცირე უზუსტობა: მეხუთე კოლონა იმას ნიშნავს, რომ იგი წყალს უშვებს თავისი უფროსების წისქვილზე. ხოლო თუ მე მის წისქვილზე ვასხამ წყალს, მეხუთე კოლონა მე გამოვდივარ და ჩემს თავზე ვისხამ წყალს?! რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის წისქვილზე რომ მიმეშვა წყალი – კიდევ ჰო. მაგრამ რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა საქართველოში ვინმეს ფულს რომ უხდიდეს, ფულზე დახარბებული არასამთავრობო ორგანიზაციები, ომბუდსმენები, ექსპერტები, ჟურნალისტები, პოლიტოლოგები, ისტორიკოსები, ფილოსოფოსები, პროფესორები, აკადემიკოსები, პარტიები, ოპოზიციები, პოზიციები და სოკოებივით მომრავლებული ყველა ჯურის პარაზიტი – მე დამაცლიდნენ რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის წისქვილზე წყლის მიშვებას?!

რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ, შევარდნაძის წისქვილზე კი ვიღაცას მართლა მიუშვია წყალი. ბ-ნი ვახტანგის მონაყოლით, სანამ ის ყბადაღებული წერილი შევარდნაძეს შეაშფოთებდა, ჯერ აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე და აკადემიკოსი როინ მეტრეველი აღუშფოთებია: „ანდრეი ეპიფანცევის წერილმა იმთავითვე სასტიკად აღაშფოთა აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე, რომელმაც საპასუხო წერილის დაწერა მთხოვა. აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა ჩემს სტატიას: „გაყალბებული ისტორია ჰეგემონისტური პოლიტიკის სამსახურში“ – ჟურნალ „მაცნეში“ დაუთმო ადგილი“. ბატონი ედუარდი კი პირიქით ამბობს: „გთხოვთ, გაეცნოთ ანდრეი ეპიფანცევის მასალას საქართველოს შესახებ. ჩემი შეხედულებით, წერილი დაკვეთითაა დაწერილი და თავიდან ბოლომდე ანტიქართული ხასიათისაა. ამ მასალამ სერიოზულად შემაშფოთა. ვგონებ, ქართველმა ისტორიკოსებმა უნდა ამოიღონ ხმა. ერთადერთი, რაც სიმართლეს შეესაბამება, არის შევარდნაძის ერთი გამოსვლიდან ამოგლეჯილი ციტატა იმის შესახებ, რომ საქართველოსთვის მზე ჩრდილოეთიდან ამოვიდა“.

ომარ ხახაშვილი
(ბელგიიდან)

„ჩირის ფარდებს“ ამოფარებული შრომა

ოქტომბრის ბოლოდან მარტვილის სოფლები ჩირის ნარინჯისფერ ფარდებში ეხვევა. ამ პერიოდიდან მოყოლებული აქაურების მთავარი საფიქრალი ხურმის დროულად დაკრეფა, გათლა და გაშრობაა. შრომას არ ჩივიან, მთავარია, ამინდმა გაამართლოს.

4 დღეა, მარტვილში გადაბმულად წვიმს. სოფელ ნაგვაზაოში გლეხებმა „ხურმის ფარდებს“ პარკები გადააფარეს – თუ ასე გაგრძელდა და ნისლი ჩამოწვა, ჩირი როგორმე დალპობას უნდა გადაარჩინონ.

„ხაჩია (ხურმის ნაირსახეობა) რომ გავთალე, ნახევარი გადავყარე. ჩამოცვივდა, ვერ გაუძლო. ამინდმა არ შეუწყო ხელი. წვიმა არ უშლის ხელს, მთავარია, ნისლი არ იყოს. ძლიერი სიცხეებიც არ არის კარგი. სიცხეები დაამწიფებს ძაფზე და ჩამოცვივდება. ქარიანი ამინდია კარგი და ყინვა, ყინვა აშრობს“, – ყვება ნანა ცირეკიძე და თან ხურმას თლის.

52 წლის ნანას ხელის თითები დაკოჟრილი აქვს. ღამე ეღვიძება, ცდილობს დაბუჟებული ხელები ისე დადოს, რომ ტკივილი შეუმსუბუქდეს. ასე ხდება ყოველ შემოდგომაზე, როცა ხურმის ჩირის მზადება იწყება.

ოქტომბრიდან ნოემბრის ბოლომდე მარტვილელები ტონობით ხურმას კრეფენ, თლიან და ძაფზე აცვამენ. ხილი სათუთად უნდა დაიკრიფოს, ყუნწი არც კრეფისას და არც გათლისას არ უნდა მოძვრეს. დაკრეფილი ხურმა მალევე უნდა გაითალოს, რომ ხილმა დამწიფება ძაფზე აცმამდე ვერ მოასწროს. გამზადებული ხურმა კი რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაშრეს. რაც ჩამოცვივდება ან გაშრობას ვერ მოასწრებს, არყის გამოსახდელად გამოდგება.

ნანას ჩირის დამზადებაში ქმარი და მეათეკლასელი შვილი ეხმარებიან. გლეხების დიდი ნაწილი თანხას ზოგავს, დამხმარე მუშახელის დაქირავება დღეში დამატებით 25 ლარი ჯდება. ყოველდღე საშუალოდ 200 კილოგრამამდე ხურმას თლიან. მათი წლევანდელი მოსავალი ნედლი სახით 1 ტონამდე იქნება, გაშრობის შემდეგ კი მისი წონა მნიშვნელოვნად შემცირდება. როგორც ნანა გვიხსნის, 4 კილო ნედლ პროდუქტზე 1 კილოგრამი ჩირი რჩება.

თუ ყველაფერი კარგად წავიდა, წელს ხურმის მოსავლისგან ცირეკიძეების ოჯახი 1000 ლარის მოგებას ელოდება. თანხის დიდი ნაწილი სახლის რემონტზე დაიხარჯება.

ცირეკიძეებისგან განსხვავებით, მხოლოდ 400-500 ლარის მოგებას ელოდება წელს მათი მეზობელი, სოციალურად დაუცველი გუგუშვილების ოჯახი. მათ მხოლოდ ორი ძირი ხურმა აქვთ. თუ ამინდებმა გაუმართლა და ყველა გამოშრა, დაახლოებით, 100 კილო ჩირი გამოვა.

მედეას თხილის პლანტაციაც აქვს, თუმცა თხილმა წელს არ გაამართლა. ჰყავთ ერთი მეწველი ძროხა. ამას ემატება 80 წელს მიღწეული დედის პენსია და სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის განკუთვნილი ფინანსური დახმარება. გუგუშვილები ასე ირჩენენ თავს წლიდან წლამდე. სახლი ავარიულ მდგომარეობაშია, მაგრამ შესაკეთებლად ფინანსები ჯერ ვერ მოაგროვეს.

მედეას უნდოდა, თანასოფლელებისგან 100 კილოგრამამდე ხურმა ეყიდა, თუმცა ვერც ეს მოახერხა. მარტვილელები, რომლებსაც ხურმის მწირი მოსავალი აქვთ, ხშირად იქცევიან ასე. მეზობლებისგან ხილს იაფად ყიდულობენ – კილოგრამს 20-30 თეთრად, ჩირი კი იანვარში კილოგრამი 3-4 ლარი ღირს. ნაგვაზაოში ამბობენ, რომ უხვმოსავლიანობისას ჩირის ფასი ეცემა. ყოფილა შემთხვევა, პროდუქტი 1 ლარადაც კი გაუყიდიათ. წელს უკეთესის მოლოდინი აქვთ.

ნაგვაზაოს მცხოვრებლები, რაც თავი ახსოვთ, შემოდგომაზე ხურმის ჩირს აკეთებენ. ამბობენ, რომ მათი შრომა ოდნავ შემსუბუქდება, თუ სოფლის სიახლოვეს 4 საშრობი მოეწყობა, სადაც ხილის მიტანას შეძლებენ. ამბობენ, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტს მხოლოდ ერთი საშრობი აქვს, რომელიც აქაურებისთვის, ერთი რომ, შორსაა და, მეორე, საწარმოთი მხოლოდ მსხვილი ფერმერები სარგებლობენ. მათ პროდუქტიც მეტი აქვთ, ხარჯიც და შემოსავალიც.

ნაგვაზაოელი ნელი კვაშილავა თბილისში ცხოვრობს და სოფელში ოჯახთან ერთად ჩირის სეზონზე ჩადის. წელს 7 ტონა ხურმა აქვს, რომლის ნახევარიც იყიდა, დანარჩენი კი საკუთარ ეზოში დაკრიფა. 7 ტონიდან 6 ოჯახის 2 წევრის დახმარებით უკვე გათალა. სახლის აივანზე „ხურმის ფარდებიც“ გაფინა და ნესტისგან დასაცავად ბრეზენტიც ჩამოაფარა.

„მთელი ენერგია, სული და გული გვაქვს ამაში ჩაქსოვილი. ვნახოთ, რა იქნება“, – ამბობს ნელი კვაშილავა, რომელიც მხოლოდ ნოემბრის ბოლოს, როცა ოჯახს მეწარმეები ააკითხავენ, გაიგებს, რა მოგება მისცა წელს ჩაბარებულმა ტკბილეულმა.

თამაზ ზანთარაია
მზია საგანელიძე

განახლებული თეატრი, პარკები და 55 სახლი...

კახეთში ველისციხის პროექტი იწყება

კახეთში, სოფელ ველისციხის რეაბილიტაციის პროექტი 2021 წლის გაზაფხულზე დასრულდება – ამის შესახებ „კომერსანტს“ საპროექტო კომპანია „ამხანაგობა 21“-ის ხელმძღვანელმა გია აბულაძემ განუცხადა.

ველისციხეში სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომაზე დაანონსდა. აღინიშნა, რომ პროექტის ფარგლებში ველისციხე ძველ არქიტექტურულ მიმზიდველობას დაიბრუნებს და როგორც მის გენგეგმაშია გაწერილი, შეიქმნება ცენტრი მიწისქვეშა გვირაბებითა და კაფებარებით, მარნებითა და მეღვინეობის ცენტრით.

როგორც გია აბულაძე აცხადებს, სოფელს დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს, რასაც მისი ისტორია და უძველესი და უნიკალური მარნებისა და არქიტექტურული ნიმუშების სიმრავლე მოწმობს.

„ველისციხეში იგეგმება საზოგადოებრივი პარკის, თეატრის შენობისა და დაახლოებით 55 სახლის რეაბილიტაცია, რომელიც ერთი საფეხმავლო ქუჩის გარშემოა.

განსხვავებული და განსაკუთრებულია ეს სოფელი იმით, რომ აქ არის ქალაქური ტიპის განაშენიანება, არ არის სოფლის ტიპზე აგებული სახლები. ველისციხეს საინტერესო ისტორია აქვს – ოდითგანვე ამ ადგილას ცხოვრობდნენ ქართველები, ებრაელები და სომხები. ეს იყო დიდი სავაჭრო პოტენციალის მქონე ტერიტორია პირველ რიგში იმიტომ, რომ მნიშვნელოვანი გზაჯვარედინია დამაკავშირებელი ქალაქებისთვის. ველისციხიდან 20 კილომეტრში არის თელავი, 17 კილომეტრში – ყვარელი და 8 კილომეტრში არის გურჯაანი. ასე რომ, ველისციხე ფაქტობრივად ცენტრია. აქ დღესაც ძალიან ბევრი ტურისტია. ველისციხიდან კაკაბეთის მიმართულებით ახალი გზის მშენებლობა კი კიდევ უფრო გააქტიურებს ამ ტურისტულ პოტენციალს ამ სოფელში. გარდა ამისა, სოფელში არის უნიკალური სარდაფები და მარნები, რომლის მსგავსიც საქართველოში ძალიან ცოტაა. მარანი-მუზეუმი ნუმისი ადვილი მისაგნებია და ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს. ამ მარნის ნახვით მარტივად მიხვდება ადამიანი, თუ რა დიდი პოტენციალი აქვს ამ სოფელს.“ – ამბობს გია აბულაძე.

პროექტის საინვესტიციო ღირებულება დაახლოებით 20 მილიონ ლარს შეადგენს, პროექტს მუნიციპალური გავითარების ფონდი ახორციელებს.

როგორც აბულაძე აღნიშნავს, პროექტის სრული ვერსია 2020 წლის აპრილის ბოლოს ან მაისში იქნება მზად, ზაფხულში გამოცხადდება ტენდერი მშენებლობაზე, საბოლოოდ კი პროექტი 2021 წლის გაზაფხულზე დასრულდება.

მარიამ მორგოშია

უკრაინა ნატოს წევრი გახდება

უკრაინა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი გახდება. ამ თემაზე ყველა მოკავშირე ქვეყანა შეთანხმდა. განცხადება უკრაინაში ნატოს წევრობის თაობაზე ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა გაასაჯაროვა და მას „რია ნოვოსტი“ ავრცელებს.

„ყველა მოკავშირე ქვეყანა შეთანხმდა, რომ უკრაინა ნატოს წევრი ქვეყანა გახდება. მონტენეგრო ალიანსს 2 წლის წინათ შეუერთდა. ჩრდილოეთ მაკედონია ნატოს წევრი რამდენიმე თვეში გახდება. პოლონეთი, ბალტიის ქვეყნები —„ ყველა ალიანსის წევრია“, — ამის შესახებ ერთ დროს ოცნებაც კი შეუძლებელი იყო“, — ეს ინფორმაცია სტოლტენბერგმა რუსულ გამოცემა „1+1“-თან საუბრისას გააჟღერა.

გენერალური მდივნის თქმით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი კიევს დაეხმარება, დააჩქაროს რეფორმების ტემპები, რაც ქვეყანას ალიანსში გაწევრიანებაში დაეხმარება.

შეგახსენებთ, იენს სტოლტენბერგმა ოქტომბრის ბოლოს უკრაინის რადაში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ ნატოს კარი უკრაინისთვის ღიაა.

„საზღვრის“ ბლოკირებიდან ორი თვე გავიდა

ცხინვალის ოკუპირებული რეგიონის მიმართულებით გადასასვლელების ბლოკირებიდან ორი თვე გავიდა. ახალგორელი სამოქალაქო აქტივისტი თამარ მეარაყიშვილი ამასთან დაკავშირებით დე ფაქტო პრეზიდენტ ანატოლი ბიბილოვს მიმართავს.

„დღეს შესრულდა 2 თვე, რაც გზა დაიკეტა. სხვათაშორის, მოტყუებით — ოფიციალურ განცხადებაში მხოლოდ ერთი დღე — 5 სექტემბერი ეწერა, გაფრთხილების გარეშე, რათა მეტი ადამიანი გამომწყვდეულიყო აქ. გზის გახსნის პირობად ანატოლი ბიბილოვი წნელისის პოსტის აღებას ითხოვს, რომელსაც ქართველი სამართალდამცავები 3 თვის განმავლობაში აკეთებდნენ, გაჰყავდათ გზა ტყეში, მაგრამ ხელისუფლებამ მხოლოდ გახსნისას „შენიშნა“, ისიც ოპონენტების პასუხად და რეპუტაციის გამოსასწორებლად. ფიქრობს, თუ ჩვენ მძევლად აგვიყვანს, ქართული მხარე პოსტს მოხსნის. ეს ასე არ იქნება, რადგან მარგო მარტიაშვილის გარდაცვალებამდე, ქართულმა მხარემ ჩვენი ტყვეობა არც კი შეიმჩნია თუნდაც შაბლონური განცხადდბების დონეზე, არათუ ვინმესთან გამოსავლის ძიებაზე დაეწყო საუბარი. არ უშვებენ ადგილობრივ მძიმე ავადმყოფებსაც კი თბილისში, რადგან ბიბილოვი ფიქრობს, ვიმანიპულირებ ადამიანების სიცოცხლით და გახსნიანო. ქართული მხარე კი ალბათ ფიქრობს, რაც მეტი მძიმე შემთხვევა დაფიქსირდება, მით უფრო სამარცხვინოდ წარმოვაჩენ მათ. რაც დიდხანს გაგრძელდება ეს მდგომარეობა, მით უარესი ბიბილოვისთვის, მით უკეთესი ქართული ხელისუფლებისთვის — პოლიტიკურად. ხალხი ზარალდება, ჩვენ საკუთარ ტყავზე ვცდით ყველა სიმძიმეს. ანატოლი ბიბილოვის ადგილას, დავთმობდი და გზას გავხსნიდი. ეს თქვენ გჭირდებათ, ანატოლი ილიჩ, თქვენივე რეპუტაციისთვის“, — წერს მეარაყიშვილი სოციალურ ქსელში.

დე ფაქტო საზღვრის ჩაკეტვას პირველი მსხვერპლი უკვე მოჰყვა. გასულ თვეში ოკუპირებული ახალგორის რაიონის სოფელ იკოთის მკვიდრი მარგო მარტიაშვილი, რომელიც, სავარაუდოდ, ინსულტის დიაგნოზით ცხინვალის საავადმყოფოში მოათავსეს, 28 ოქტომბერს გარდაიცვალა. მარგო მარტიაშვილს თბილისში ჰოსპიტალიზებისთვის დე ფაქტო საზღვრის კვეთის უფლება არ მისცეს.

ცნობისთვის: გადასასვლელების ჩაკეტვას ოსური მხარე ქართული საპოლიციო საგუშაგოს წნელისში გახსნას უკავშირებს და მის დემონტაჟს მოითხოვს. მათ შორის აღნიშნულ საკითხზე გამართული რიგით მეექვსე შეხვედრა ერგნეთში უშედეგოდ დასრულდა. მხარეები მხოლოდ დიალოგის გაგრძელებაზე შეთანხმდნენ.

უკრაინაში 1261 სახელმწიფო საწარმოს ლიკვიდაციას გეგმავენ

უკრაინა 1261 სახელმწიფო საწარმოს ლიკვიდაციას გეგმავს. ამის შესახებ გამოცემა „ცენზორ.ნეტ“-თან ინტერვიუში უკრაინის ეკონომიკის მინისტრმა ტიმოფეი მილოვანოვმა განაცხადა. მინისტრის თქმით, ამჟამად მიმდინარეობს ნუსხის შედგენა, რომელშიც სახელმწიფო საწარმოთა კლასიფიკაცია სამ ჯგუფად მოხდება.

„პირველ ჯგუფში არის სტრატეგიული ობიექტები, რომლებიც სამინისტროების ან სხვა სახელმწიფო ორგანოების მმართველობაში დარჩება, მეორე ჯგუფში შევიყვანთ იმ საწარმოებს, რომელთა პრივატიზაცია მოხდება, მესამე ჯგუფში კი ის სახელმწიფო საწარმოები გაერთიანდებიან, რომელთა ლიკვიდაცია გარდაუვალია“, — განაცხადა უკრაინის ეკონომიკის მინისტრმა.

შეგახსენებთ, რომ 2 ოქტომბერს უკრაინის რადამ გააუქმა კანონი, რომელითაც სახელმწიფო კუთვნილი საწარმოთა ნაწილის გასხვისება იკრძალებოდა. ამის შემდეგ უკრაინის ინფრასტრუქტურის მინისტრმა ვლადისლავ კრიკლიმ განაცხადა, რომ უკრაინის ფოსტისა და რკინიგზის აქციების ნაწილი გასხვისდება.

ტრამპის საგადასახადო დეკლარაციები უნდა გამოქვეყნდეს

ნიუ-იორკის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ აშშ-ის პრეზიდენტის ფინანსურმა კონსულტანტებმა საგამოძიებო ორგანოებს დონალდ ტრამპის ბოლო 8 წლის საგადასახადო დეკლარაციები უნდა გადასცენ.მანამდე 2011-დან 2018 წლამდე პერიოდის დოკუმენტები ნიუ-იორკის პროკურორმა საირუს ვენსმა გამოითხოვა.

ვენსი ტრამპის საქმეებში შესაძლო დარღვევებს იძიებს. მანჰეტენის ოლქის პროკურატურამ ტრამპის საგადასახადო დეკლარაციები 17 სექტემბერს გამოითხოვა. გამოძიების დაწყების მიზეზი გახდა ინფორმაცია, რომ ტრამპის ადვოკატმა მაიკლ კოენმა 2016 წელს პორნომსახიობ სტეფანი კლიფორდს ტრამპთან სექსუალური კავშირის შესახებ დუმილის სანაცვლოდ 130 000 დოლარი გადაუხადა.

ამერიკის ახალი ბაზები სირიაში

აშშ-მა სირიის ნავთობით მდიდარ დეირ ელ-ზორის პროვინციაში ორი ახალი სამხედრო ბაზის მშენებლობა დაიწყო. ამის შესახებ ინფორმაციას თურქული მედია ავრცელებს. გავრცელებული ინფორმაციით, ვაშინგტონმა რეგიონში დამატებით 300 სამხედრო მოსამსახურე, დაჯავშნილი ავტომობილები, მძიმე შეიარაღება და საბრძოლო მასალები გაგზავნა. ახალი სამხედრო ბაზები ელსურის რეგიონის მახლობლად შენდება.

სირიის ჩრდილოეთში, თურქეთის სამხედრო ოპერაციის შეჩერების შემდეგ, აშშ-ის სამხედროებმა სასაზღვრო ზონაში პატრულირება განაახლეს. ქურთი სამხედრო ჯგუფების წინააღმდეგ თურქეთმა სამხედრო ოპერაცია 9 ოქტომბერს დაიწყო. 22 ოქტომბერს თურქეთ-რუსეთის შეთანხმებით ოპერაცია შეჩერდა.

ტერორისტების ვებგვერდი რუსულ სერვისებზე

ვებგვერდი 8chan, რომელმაც მუშაობა ტერაქტების და სროლების ორგანიზატორების მანიფესტების გამოქვეყნების შემდეგ შეწყვიტა, ახალი სახელწოდებით ამოქმედდა. ამის შესახებ **Meduza** წერს. ახლა გვერდს **8chan**-ი ჰქვია. ის რუსულ რესურსზე განთავსდა, რომელსაც დასავლეთში არალეგალური ვებგვერდების ერთ-ერთ უმსხვილეს ჰოსტინგად ითვლება. ამის წინააღმდეგია **8chan**-ის დამფუძნებელი ფრედერიკ ბრენანი, რომელიც თავის ქმნილებასთან ბრძოლას სათავეში ჩაუდგა.

გვერდზე უკვე განთავსებულია ახალი სტატიები აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის გეგმების შესახებ. ავტორი ფსევდონიმით **Q** ამტკიცებს, რომ ტრამპი დემოკრატიული პარტიის ლიდერების და სხვა მოწინააღმდეგეების დაპატიმრებას აპირებს. **8chan**-მა მუშაობა 2019 წლის აგვისტოში შეწყვიტა. ვებგვერდზე გამოქვეყნდა მანიფესტი „დიდი ჩანაცვლება“, რომლის ავტორმაც ახალ ზელანდიაში მეჩეთებში 51 ადამიანი მოკლა. ჯონ ერნესტმა, რომელმაც 2019 წლის აპრილში კალიფორნიის სინაგოგაში სროლა მოაწყო, **8chan**-ზე ანტისემიტური წერილი გამოაქვეყნა. აგვისტოში კი გვერდზე გამოჩნდა ტექსტი სახელწოდებით „მოუხერხებელი სიმართლე“, რომლის ავტორმაც ელ-პასოში 20 ადამიანი მოკლა.

რუსეთის წინააღმდეგ სანქციები გახანგრძლივდა

ევროკავშირის გადაწყვეტილებას ანტირუსული სანქციების გაგრძელების შესახებ ალბანეთი, ნორვეგია, უკრაინა და მონტენეგრო შეუერთდნენ.

ამკრძალავი ზომები წელიწადნახევრით გახანგრძლივდა. სანქციების ქვეშ 170 ფიზიკური და 44 იურიდიული პირია რუსეთიდან და უკრაინიდან, რომლებიც ევროკავშირის აზრით, უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას ემუქრება.

ADB

სატენდერო მოწვევა

თარიღი: 4 ნოემბერი 2019

სესხის ნომერი და სახელწოდება: 3520-GEO: ბათუმის შემოვლითი გზის პროექტი

კონტრაქტის ნომერი და სახელწოდება: BBRP/CW/ICB-01: ფოთის ხიდისა და მისასვლელი გზების მშენებლობა

სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა: 16 დეკემბერი, 2019, 16:00 სთ (ადგილობრივი დროით)

1. საქართველოს მთავრობამ აზიის განვითარების ბანკისაგან მიიღო დაფინანსება **ბათუმის შემოვლითი გზის პროექტისათვის**. აღნიშნული დაფინანსების ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოთქმული კონტრაქტის ფარგლებში გადახდების განსახორციელებლად. მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ეროვნების პრეტენდენტს.

2. **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი** („დამკვეთი“) გიწვევთ, წარმოადგინოთ დალუქული სატენდერო წინადადება ფოთის ხიდისა და მისასვლელი გზების მშენებლობისათვის.

აღნიშნული კონტრაქტი მოიცავს 436 მ სიგრძის 2-ზოლიანი 8 მალის მქონე ხიდის მშენებლობას ფოლადისა და რკინა-ბეტონის მალის ნაშენით, ბეტონის ხიმინჯებით მდინარე რიონზე და დაახლოებით 2კმ სიგრძის მისასვლელი გზების მშენებლობას ნაწილობრივ სუსტი გრუნტის პირობებში. კონტრაქტის ხანგრძლივობა შეადგენს 730 კალენდარულ დღეს.

3. **საერთაშორისო ტენდერი** ჩატარდება აზიის განვითარების ბანკის ერთ-ეტაპიანი ერთ-კონვერტიანი სატენდერო პროცედურის თანახმად და მასში მონაწილების მიღება შეუძლია ყველა ეროვნების პრეტენდენტს.

4. უფლებამოსილი მონაწილეები, უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

● მიმდინარე სასამართლო დავა: ყველა მიმდინარე სასამართლო დავა ჩაითვლება გადაწყვეტილად და ზემოხსენებული დავების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მონაწილის წმინდა კაპიტალის ორმოცდაათ (50) პროცენტს, რაც თავის მხრივ, წარმოადგენს სხვაობას მთლიან აქტივებსა და მთლიან ვალდებულებებს შორის.

● ფინანსური მდგომარეობა: მონაწილის წმინდა კაპიტალი მინიმუმ, ბოლო წლისათვის უნდა იყოს დადებითი, რაც გამოანგარიშებული იქნება სხვაობით მთლიან აქტივებსა და მთლიან ვალდებულებებს შორის. მონაწილის ყოველწლიური საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა ბოლო სამი (3) წლის განმავლობაში უნდა შეადგენდეს 16,000,000 (თექვსმეტ მილიონ აშშ დოლარს), მონაწილემ უნდა აჩვენოს, რომ მას გააჩნია ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსები 2,700,000 (ორი მილიონ შვიდასი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით მოცემული პროექტისა და მიმდინარე საკონტრაქტო ვალდებულებებისათვის

● მშენებლობის გამოცდილება: ბოლო ხუთი (5) წლის განმავლობაში, მონაწილეობა ორ (2) კონტრაქტში, რომელიც მოცემულ შემოთავაზებულ სამუშაოთა მსგავსია. აღნიშნულ მსგავს კონტრაქტებში მონაწილის წილი უნდა აღემატებოდეს 15, 000, 000 (თხუთმეტ მილიონ) ამერიკულ დოლარს.

მონაწილის მიერ განხორციელებული მსგავსი სამუშაო შეფასდება შემდეგზე დაყრდნობით: ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა ხიდებით.

● მშენებლობის გამოცდილება შემდეგ ძირითად ღონისძიებებში:

o ახალი ხიდ(ებ)ის მშენებლობა მთლიანი ფართობით არანაკლებ 5 000 m^2 ბოლო ხუთი (5) წლის განმავლობაში.

o მინიმუმ ერთი (1) ფოლადის და რკინა-ბეტონის მალის ნაშენის მქონე ხიდის მშენებლობა არანაკლებ 40 მ მალის ნაშენით ბოლო ხუთი (5) წლის განმავლობაში.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები დეტალურად ასახულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

5. დამატებითი ინფორმაციისა და სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად, გთხოვთ მოგვმართოთ:

ბატონი ლევან კუპატაშვილი
მისამართი: ალ. ყაზბეგის 12,. 0160 თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 2 37 05 08 შიდა: 311
ფაქსი: (+995 32) 2 37 66 03
ელ-ფოსტა: info@georoad.ge ასლი: Davit.Getsadze@georoad.ge

6. სატენდერო დოკუმენტაციის შესაძენად ინგლისურ ენაზე, მონაწილეებმა უნდა განახორციელონ შემდეგი: ზემოთ მითითებულ მისამართზე წარმოადგინონ წერილობითი მოთხოვნა სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად **BBRP/CW/ICB-01: ფოთის ხიდის და მისასვლელი გზების მშენებლობა.**

მონაწილეები სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ ელექტრონული ფორმით, ელ-ფოსტის საშუალებით, უფასოდ. დამკვეთი არ იღებს პასუხისმგებლობას იმ შემთხვევისათვის, თუკი ადრესატი ვერ მიიღებს დოკუმენტაციას.

7. გთხოვთ თქვენი სატენდერო წინადადება წარმოადგინოთ:

● შემდეგ მისამართზე;

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ალ. ყაზბეგის 12
სართული/ოთახის ნომერი: მე-4 სართული, კანცელარია

● **არაუგვიანეს 2019 წლის 16 დეკემბრისა, 16:00 სთ (ადგილობრივი დროით)**

● სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიასთან ერთად.

სატენდერო წინადადებები საჯაროდ გაიხსნება მათი წარმოდგენის ვადის გასვლის შემდეგ დაუყოვნებლივ მონაწილეთა წარმომადგენლების თანდასწრებით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში შემდეგ მისამართზე

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
მისამართი: ალ. ყაზბეგის 12,. თბილისი, საქართველო
სართული/ოთახის ნომერი: მე-2 სართული, საკონფერენციო დარბაზი

აღნიშნული ტექსტი წარმოადგენს ინგლისურენოვანი სატენდერო მოწვევის არა-ოფიციალურ თარგმანს. შესაბამისად, უზუსტობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება სატენდერო მოწვევის ინგლისურ ვერსიას.

INVITATION FOR BIDS

Date:	November 4, 2019
Loan No. and Title:	3520-GEO: Batumi Bypass Road Project
Contract No. and Title:	BBRP/CW/ICB-01: Construction of the Poti Bridge and Access Roads
Deadline for Submission of Bids (e-Tender):	December 16, 2019 at 16.00 (Georgia time)

1. The Government of Georgia has received financing from the Asian Development Bank (ADB) towards the cost of the **Batumi Bypass Road Project**. Part of this financing will be used for payments under the Contract named above. No nationality restrictions apply.

2. **The Roads Department of Georgia under the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia** ("the Employer") invites sealed bids from eligible bidders for the contract for the **construction of the Poti Bridge and access roads.**

This contract includes the construction of a 436 m long 2-lane 8 span composite steel and concrete bridge with driven pile foundations over the Rioni River and approximately 2 km of access roads partly through soft ground conditions. The contract period will be 730 calendar days.

3. **International competitive bidding** will be conducted in accordance with ADB's Single-Stage: One-Envelope bidding procedure and is open to all Bidders without nationality restrictions.

4. Only eligible bidders, with the following key qualifications should participate in this bidding:

● Pending Litigation: All pending litigation and arbitration, if any, shall be treated as resolved against the Bidder and so shall in total not represent more than 50 percent of the Bidder's net worth calculated as the difference between total assets and total liabilities.

● Financial Situation: The Bidder's net worth, as a minimum, for the last year calculated as the difference between total assets and total liabilities should be positive. Its annual average construction turnover for the last three (3) years must not be less than USD 16,000,000 (Sixteen Million United States Dollars) or equivalent and the Bidder must demonstrate that it has access to financial resources of not less than USD 2,700,000 (Two Million Seven Hundred Thousand United States Dollars) or equivalent to support the cash flow requirement for this project and all its current contract commitments.

● Construction Experience: Participation in at least two (2) contracts that have been successfully or substantially completed within the last five (5) years and that are similar to the proposed contract, where the value of the Bidder's participation exceeds USD 15,000,000 (Fifteen Million United States Dollars).

The similarity of the Bidder's participation shall be based on construction of high-speed roads including bridges

● Construction Experience in the following key activities:

o Construction of new bridge(s) with total area of at least 5,000 m^2 within the last five (5) years

o Construction of at least one (1) composite (steel and concrete) bridge including at least one 40m or longer span constructed within the last five (5) years.

More details of qualification requirements are mentioned in the Bidding Documents.

5. To obtain further information and inspect the bidding documents, Bidders should contact:

Mr. Levan Kupatashvili
Deputy Chairman
12 Al. Kazbegi Ave. 0160 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 37 05 08 ext.311
Fax: (+995 32) 37 66 03
Email: info@georoad.ge cc: Davit.Getsadze@georoad.ge

6. To obtain the Bidding Documents in English, eligible Bidders should write or email to the address above requesting the Bidding Documents for **BBRP/CW/ICB-01: Construction of Poti Bridge and Acess Roads;**

Bidding documents will be provided in an electronic format, free of charge. The documents will be sent by e-mail. No liability will be accepted for delivery failure.

7. Deliver your bid:

● to the address below:

Roads Department of Georgia
12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, Georgia
IV Floor, Chancellery

● **on or before December 16, 2019 at 16:00 (Georgia time)**

● together with a Bid Security as described in the Bidding Document.

Bids will be opened immediately after the bid submission deadline in the presence of Bidders' representatives who choose to attend at the address below:

Roads Department of Georgia
12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, Georgia
II Floor, Conference Hall

◎ ფიგურული სრიალი

არის „ბრინჯაო“!

ახლახან ჩინეთის ქალაქ დონგუანში ჩელენჯერის სერიის მორიგი საერთაშორისო ტურნირი „ISU Asian Open“ გაიმართა, სადაც სპორტულ ცეკვებში მოასპარეზე 8 ქვეყნის 11 წყვილს შორის გამოდიოდნენ მარია კაზაკოვა და გიორგი რევია.

მათთვის გრან- პრის სერიის ტურინის ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვების შემდეგ ამ ტურნირს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მოკლე და თავისუფალ პროგრამებში ელემენტების შესრულებისათვის დაწესებული საჭირო ქულათა რაოდენობის თავმოყრა აუცილებელი მოთხოვნა იყო ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე მონაწილეობის მისაღებად.

ჩვენებურებმა სავალდებულოზე გაცილებით მაღალი ტექნიკური ქულები მოაგროვეს და სენიორებს შორის 2020 წლის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში გამოსვლის უფლება მოიპოვეს, ხოლო ტურნირზე აღებული 174, 63 ქულით მე-3 ადგილი და ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს.

პირველ პოზიციაზე ამერიკული დუეტი – კრისტინა კარეირა და ანტონ პონომარენკო გავიდა, რომელმაც 191, 55 ქულა მოაგროვა, მეორე ადგილი კი 176,38 ქულით რუსმა მოციგურავეებმა ქსენია კონკინამ და პაველ დროზდმა დაიკავეს.

გეჟან დოლიძე

◎ თაობა

თანდათან ეჩვევა

ამერიკის ქალთა სტუდენტურ ლიგაში ქართველ გოგონას წარმატებული დებიუტი ჰქონდა. ნატალია ოთხმეზურმა კასპერის კოლეჯის გუნდ „თანდერბერდსში“ ზედიზედ 2 მატჩი ითამაშა და თავის გუნდს გამარჯვებებში დაეხმარა. ჯუნიორ კოლეჯების ლიგის სეზონის პირველ შეხვედრაში კასპერის კოლეჯმა ტრინიდად სტეიტს 80:49 სძლია, ხოლო მეორე დღეს ოთხმეზურის გუნდმა ოტერო ჯუნიორ კოლეჯიც დაამარცხა – 89:74, რაშიც ქართველმა ლეგიონერმა სოლიდური წვლილი შეიტანა.

ტრინიდადთან ნატალიამ 14 წუთში 11 ქულა, 3 მოხსნა და 1 პასი მიითვალა. ქართველმა კალათბურთელმა 5-დან 3 სამქულიანი და 3-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, 1 ორიანი კი ააცილა. მომდევნო მატჩში ოთხმეზურმა მოედანზე უკვე 23 წუთი დაჰყო და პარტნიორთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ოტერო კოლეჯთან ნატალიამ 15 ქულა, 7 მოხსნა, 4 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. კასპერის კოლეჯში ოთხმეზურის თანაგუნდელია საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი წევრი ანა ქავთარაძე, რომელმაც ტრინიდადის კოლეჯის წინააღმდეგ მხოლოდ 3 წუთი ითამაშა, ხოლო ოტეროსთან მოედანზე არ გასულა.

2-დან 2 მოგებით „კასპერ თანდერბერდსი“ თავის კონფერენციაში ლიდერია და შემდეგი მატჩი „ნორსისტერნ ჯუნიორ კოლეჯთან “ელის.

ვიტალი ჯაფარიძე



◎ ლეგიონერი

თამაში დაიმსახურა

რუსეთის პრემიერლიგის მე-15 ტურში ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ჯანო ანანიძე მოსკოვის „სპარტაკის“ ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდა. ქართველმა მინდორზე 84 წუთი გაატარა და მისი კლუბი „არსენალთან“ შინ 0:1 დამარცხდა.

ნამატჩევს „სახალხო გუნდის“ მთავარმა მწვრთნელმა დომენიკო ტედესკომ ჩვენებურის შესახებ ისაუბრა და თქვა, რომ მან თამაში დაიმსახურა.

– ანანიძემ საყრდენ ზონაში ითამაშა, რატომ? ეს მისი ძლიერი მხარე არაა...

– ჯანომ ბევრი ოფლი ღვარა ვარჯიშებზე და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ამან გადამწყვეტი გავლენა მოახდინა მოედანზე მის გამოსვლაში. მან ითამაშა კრალის პოზიციაზე, რომელმაც ბოლო ორ მატჩში 25 კილომეტრი დაფარა. ანანიძე ტექნიკური ფეხბურთელია და ვიმედოვნებდით, რომ ბურთის ფლობაში დაგვეხმარებოდა, რაც შესვენების შემდეგ მოხდა კიდეც. ვფიქრობ, კარგი მატჩი ჩაატარა და ბევრი ზუსტი პასი გააკეთა.

ბოლოს გეტყვით, რომ ჯანო მიმდინარე სეზონის 5 მატჩიდან ძირითად შემადგენლობაში ოთხჯერ მოხვდა, გოლი კი ჯერაც არ გაუტანია.

გიორგი შოთაძე

◎ ჩოგბურთი

საოცარ დაბრუნდა

გუშინ ATP-ის ოფიციალურმა ვებ-გვერდმა განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა. როგორც მოგეხსენებათ, პარიზის მასტერსზე რაფაელ ნადალმა ნახევარფინალში გააღწია, რითაც ახალი საკლასიფიკაციო ქულები გამოიმუშავა და რეიტინგში საუკეთესო ჩოგბურთელი წლეულს პირველად გახდა.

რაც შეეხება ნიკოლოზ ბასილაშვილს, ისევ 26-ე ადგილზეა, ხოლო გაელ მონფილსი სამი პოზიციით დაწინაურდა და ათეულის წევრი გახდა.

1. რაფაელ ნადალი – 9585 ქულა, 2. ნოვაკ ჯოკოვიჩი – 8945, 3. როჯერ ფედერერი – 6190, 4. დანიილ მედვედევი – 5705, 5. დომინიკ ტიმი – 5025, 6. სტეფანოს ციციპასი – 4000,7. ალექსანდრ ზვერევი – 2945, 8. მატეო ბერეტინი – 2670, 9. ბაუტისტა-აგუტი – 2540, 10. გაელ მონფილსი – 2530, ... 26. ნიკოლოზ ბასილაშვილი – 1450 ქულა.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

ნემცოვა გააბრაზეს

ჩვენი რუბრიკის ერთგულ მკითხველებს აუცილებლად გემახსოვრებათ ჩეხეთის საფეხბურთო ნაკრების თილისმად სახელდებული პრაღელი მოდელი პეტრა ნემცოვა, რომელსაც თავის დროზე გვარიანი დითირამბები ვუძღვენით და წარმოდგენილი ფოტოდანაც ჩანს, რომ არცთუ დაუმსახურებლად...

ამ რამდენიმე დღის წინათ პეტრამ თანამემამულე ჟურნალისტებთან ჩეხეთის ნაკრების მომავალზე ისაუბრა და, ბევრისდა გასაკვირად, კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხა ნაკრების სამწვრთნელო შტაბსაც, მოთამაშეებსაც და ჩეხური ფეხბურთის სათავეში მყოფ ჩინოსნებსაც.

იგი ამბობს, რომ სამამულო ფეხბურთის ბოლოდროინდელი ჩავარდნა ზემოთდასახელებული ადამიანების ერთობლივ ბრალეულობას წარმოადგენს და არავის სურს სიტუაციაზე პასუხისმგებლობის აღება. ქალბატონი ნემცოვა მისტირის იმ დროს, როდესაც ჩეხეთის ეროვნული გუნდი ევროპას აზანზარებდა და გრანდებს პირში ჩალაგამოვლებულებს ტოვებდა.

მანუჩარ გიორგაძე

სანთელი

თამარ ხუგაშვილი-ხმიადაშვილი

ქართულმა სპორტულმა ოჯახმა დიდი დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა საერთაშორისო დიდოსტატი თამარ ხუგაშვილი-ხმიადაშვილი.

იგი იყო თელავის საპატიო მოქალაქე, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორი ვეტერანთა შორის, უკანასკნელ წლებში – ა(ა-)იპ თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება „თელავის“ საჭადრაკო კლუბის მთავარი მწვრთნელი.

მის სახელს დავიწყება არ უწერია.

„სრ“ სპორტის რედაქცია

თენგიზ კალანდაძე... მშვიდობით, „ბაბუ“



თითქოს გუშინ იყო მისი იუბილე, წუთისოფლის კრიალოსანზე ჩამოთვლილი 75 წელი. მოღიმარი, წელგამართული ეგებებოდა მეგობრებს, ახლობლებს, ყველას ესიყვარულებოდა. დაბნეულიც ჩანდა, რომ ამ რთულ დროში, როდესაც ადამიანებმა დაკარგეს სიკეთის დანახვის ნიჭი, გვერდში დგომის ფასი, სიყვარული, ერთგულება... მაინც რამდენ ადამიანს ჰყვარებია, რამდენი კაცი შემორჩენია გვერდით და ყველა ალალ-მართალი, მასავით მშრომელი, თავმდაბალი და უანგარო. გასაკვირი მართლაც არაფერი იყო, რადგან ასე სუფთად გაატარა თავადაც ცხოვრების ეს წლები — მძიმეც, დალხინებულიც, სევდიანიც და სიხარულით სავსეც...

მაშინ გაზეთ „საქართველოს რესპულიკის“ ჟურნალისტები, მისი მეგობრები მისალოც ადრესში წერდნენ: „სწორედ ამ საუკუნოვანი გაზეთის მადლიერი ჟურნალისტები დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავთ საიუბილეო თარიღს... ღრმად გვჯერა, რომ ასი წლის იუბილესაც ასე ვაჟკაცურად შემართულს მოგილოცავთო“.

მაგრამ, საუბედუროდ, შეცდნენ!.. სამგლოვიარო, გამოსამშვიდობებელი, სევდიანი სტრიქონების წერა მოუწიათ, მოუწიათ იმ კაცზე, რომელიც თავისი ლამაზი ცხოვრებითა და რაინდული სულით ალამაზებდა თბილის-ქალაქს, მშობლიურ კუთხეს, თამამად ვიტყვით, რომ მთელ საქართველოს, რადგანაც მას ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეში იცნობდნენ, ეფერებოდნენ, ეიმედებოდათ. იგი მთელი საქართველოს საყვარელი პიროვნება იყო.

ასეთი კაცი გახლდათ თენგიზ კალანდაძე... თენგიზ-ბატონი, ჩვენი „ბაბუ“, რომელსაც ასე მიმართვდა ყველა, ვინც ახლოს იცნობდა. იგი მართლაც კეთილი „ბაბუ“ იყო ყველასთვის — მასზე უფროსისთვისაც და ბევრად წლოვანებით პატარა მეგობრებისთვისაც, ოჯახის წევრებისა და სანათესაოსთვისაც. კეთილი „ბაბუ“ იყო მათთვის მოგვრილი სიხარულით, გულისხმიერებით, ცხოვრების რთული გზის გაკვალვითა თუ ნათელ დღეებში მოლხენით.

იშვიათად შეგვხვედრია ადამიანი, რომელიც ისე შესისხლხორცებოდა დედაქალაქს, როგორი ნაღდი ქალაქელობითაც იცხოვრა თენგიზ კალანდაძემ.

სრულიად ახალგაზრდა ეწვია თბილისს, გაითავისა თბილისური ადათი და წესი, თავისი მშობლიური კუთხის სითბო და სალბუნი, კაცობა და ტრადიციები ლამაზად შეუთავსა საფიცარ დედაქალაქს და იმ წლებში, როდესაც თბილისს ნაღდი კოლორიტები არ აკლდა, განსაკუთრებული, მტკიცე ადგილი დაიკავა მათ შორის. ამიტომაც ვამბობთ ტკივილით — კიდევ ერთი მეხოტბე, კიდევ ერთი ჭირისუფალი გამოაკლდაო დედათბილისს.

იყო მკაცრიც, პრინციპულიც, სიტყვის არგამტეხი, მაგრამ ამავდროულად საოცრად თბილი და მოსიყვარულე, პროფესიონალი და დარდიმანდი, ეს ყოველივე გენიდან მოსდგამდა, კალანდაძეთა დიდი და სახელოვანი საგვარეულოდან და სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. თენგიზ კალანდაძისთანა, სულითა და ხორცით ჭეშმარიტი მამულიშვილების, ღირსეული ადამიანების გვერდით ცხოვრება, ყოველგვარ გაჭირვებას გავიწყებდა და სასოწარკვეთილ პესიმისტსაც ცხოვრების იმედსა და რწმენას უჩენდა.

უამრავი ადამიანი ესწრაფვოდა მის მეგობრობას, ამ ღვთისნიერი ადამიანის, მართლაც უამრავ მეგობართა შორის იყვნენ ყველა ასაკისა და პროფესიის ქართველები, საქართველოს ყველა კუთხის ღირსეული შვილები, ამიტომაც იყო იგი ყველასათვის შინაური. დიდი ნდობაც გამოუცხადეს მშობლიური რაიონის აბაშის მცხოვრებლებმა, საქართველოს პარლამენტშიც ერთხმად წარადგინეს თავიანთი ინტერესებისა და უფლებების დამცველად — თენგიზ კალანდაძე საქართველოს პარლამენტის რამდენიმე მოწვევის დეპუტატი იყო.

ერთგული მეუღლეც იყო, მამაც, ბაბუაც და დიდი ბაბუაც, ხარობდა თავისი დიდი ოჯახის წარმატებებით, თავს არ უხრიდა ყოველდღიურ პრობლემებს. ცხოვრება ჯერ კიდევ წინ იყო, კიდევ ბევრი სასიკეთო საქმე ჰქონდა გასაკეთებელი.

არც მაშინ მოგვიწერია ხელი მისალოც წერილზე, უბრალოდ სათაური წარუმძღვარეთ — **კაცი, რომელიც სჭირდება ძვეყანასო** და თავიც ვიმართლეთ, აქ იმდენი ადამიანი მოაწერს ხელს, რომ გაზეთის მთელი ნომერიც არ დაიტევსო. არც ახლა ვაწერთ ხელს შენი დიდი სამეგობრო, ბატონო თენგიზ, ჩვენო სულით ხორცამდე რაინდო კაცო, უბრალოდ, გემშვიდობებით — **მშვიდობით, „ბაბუ“!**

თენგიზ ქავთარაძე მწუხარებას გამოხატავს ღირსეული მამულიშვილის

თენგიზ გრიგოლის ძე კალანდაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

უახლესი მეგობრები აბაშიდან — ნანა (ნანული) გუნია, გურამ გუნავა, რომან კიზირია, ზაურ თელია, ვალერი ურუმაშვილი, მევლუდ დუნდუა, მერვედ კუპრავა, ომარ ცომაია, პაატა ნიკურაძე, ტარიელ გეგეჭკორი, გია გრიგოლია, რობერტ ჭანტურია, გია კუცია, გია ქობალავა, გია ჯღარკავა, ედიშერ დუნდუა, ვლადიმერ ქორჩილავა, ბენო პიტავა, თედო ჭანტურია, გია შენგელია, გიული ვაჩეიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან რაიონის საამაყო შვილის, ღირსეული პიროვნების, სამეურნეო და საზოგადო მოღვაწის, ბატონი

თენგიზ კალანდაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

მაცაცო თურქია, ანა ასათიანი, ხათუნა ნოდია, ნათია, თამუნა ვაჩეიშვილები, თეა, ეკა, მაკა თოდუები, სოსო პიტავა ოჯახით უდიდესი ტკივილით იუწყებიან მათთვის მეტად საყვარელი ადამიანის, მოამაგისა და თანამდგომის, ბატონ

თენგიზ კალანდაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

თენგიზ კალანდაძე



ბატონი თენგიზ კალანდაძე ის კაცი იყო, ყველას რომ უწვდიდა დახმარების ხელს და ეიმედებოდა, მაგრამ ჩვენთვის, ერთ დროს სამთავრობო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომელთათვის, იგი, არც მეტი, არც ნაკლები, მხსნელი გახდა.

დიახ, არ ვაჭარბებთ, სწორედ რომ გადამრჩენელი, რომელმაც პირქუში, ავბედითი 90-იანი წლების დასაწყისში ქვეყნის მაშინდელი პრეზიდენტის თხოვნით ურთულესი მისია იტვირთა და დასახურავად განწირული წამყვანი გამოცემა მკითხველს შეუნარჩუნა.

მართალია, რედაქციაში იშვიათად ჩნდებოდა, მაგრამ მოკეთის აჩრდილს შემოქმედებითი კოლექტივი ყოველთვის გრძნობდა — ჭირშიც და ლხინშიც.

უამრავ საშვილიშვილო საქმესთან შეჭიდებულ, აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებით გამორჩეულ ჩვენს ღირსეულ თანამედროვეს, ბედისწერისა არ იყოს, სწორედ იმ გულმა უღალატა, მუდამ მოყვასის სასიკეთოდ რომ ძგერდა.

ნათელი და სანთელი, ძვირფასო ბატონო თენგიზ!

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

საქართველოს პარლამენტართა პალატა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს 1992-1995,1999-2004 წ.წ. მოწვევის პარლამენტის წევრი

თენგიზ კალანდაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

პალატის სახელით ჰუბა ამირხანაშვილი

საქართველოს პარლამენტის 1999-2004 წლების მოწვევის აფხაზეთის ფრაქციის წევრები გია გვაზავა, ვახტანგ ყოლბაია, დავით გვაძაბია, ბესო ლაგვილავა, ოთარ ჭითანავა, ვალერი ჭანტურია, ავთანდილ თევზაძე, ანზორ წოწონავა, ჯანრი ეზუგბაია, აკაკი გასვიანი, ჯემალ საჯაია დიდი გულისტკივილით იუწყებიან ფრაქციის წევრის, უდიდესი პიროვნების, ბატონი

თენგიზ კალანდაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

საზოგადოება „კუსტბის“ სრული შემადგენლობა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საზოგადოების წევრი, დიდი საზოგადო მოღვაწე, რამდენიმე მოწვევის საქართველოს პარლამენტის დეპუტატი, უსაყვარლესი მეგობარი

თენგიზ გრიგოლის ძე კალანდაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მედეა და ელიზბარ ლომინაძეები ოჯახით უდიდესი გულისტკივილით იუწყებიან მათი ოჯახის უახლოესი მეგობრის, უდიდესი პიროვნების

თენგიზ კალანდაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მწუხარებაში მყოფ ოჯახს.

ვიტალი ხაზარაძე ოჯახით მწუხარებით იუწყება უახლოესი მეგობრის, ღირსეული მოქალაქისა და კეთილშობილი პიროვნების, ბატონ

თენგიზ კალანდაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

დემურ გადელია ოჯახით მწუხარებას გამოხატავს ოჯახის უახლოესი მეგობრის, ღირსეული პიროვნებისა და საზოგადო მოღვაწის, ბატონ

თენგიზ კალანდაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებს.

დარეჯან ელიაძე ოჯახით მწუხარებით იუწყება მათი ოჯახის უახლოესი, ჭირსა და ლხინში გვერდში მდგომი ღირსეული პიროვნების, ბატონ

თენგიზ კალანდაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს უდიდეს მწუხარებაში მყოფ ოჯახს და ახლობლებს.

ჯემალ უგულავა ოჯახით დიდი მწუხარებით იუწყება უახლოესი მეგობრის, ღირსეული პიროვნების, ბატონი

თენგიზ კალანდაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

შალვა მგალობლიშვილი, ჟანა, ნონა, თემურ ბრელიძეები, ნესტორ ჩიხლაძე, მიხეილ ხუჭუა, მარინა კანდელაკი ოჯახებით გულისტკივილით იუწყებიან ღირსეული პიროვნების, ბატონი

თენგიზ კალანდაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

სანთელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის მართვის სისტემებისა და მოდელირების განყოფილების უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი

თამაზ ტროყაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დოდო ჯავახიშვილი, ლელა, ეკუნა, მარიამ, მურთაზ, თორნიკე, მურთაზ, ვასო ყიფიანები დიდ მწუხარებას განიცდიან

სოსო ჯავახიშვილის

გარდაცვალების გამო.

გატაცებული მეზღვაურების ადგილსამყოფელი კვლავ უცნობია

საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ინფორმაციით, მეკობრეების მიერ გატაცებული მეზღვაურების ადგილსამყოფელი კვლავ უცნობია.

როგორც საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში აცხადებენ, მეკობრეები კავშირზე არ გამოსულან.

„სააგენტო საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად მუდმივ კავშირზეა ბერძნულ გემთმფლობელ კომპანიასთან, როგორც კი ექნება კომპანიას რაიმე სიახლე, გვაცნობებს“, — განაცხადა საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის პირველმა მოადგილემ ზაზა მახარაძემ.

მახარაძის ინფორმაციით, ტოგოს ნავსადგური, საიდანაც მოხდა მძევლების აყვანა, აფრიკაში ერთ-ერთ უსაფრთხო პორტად ითვლება, გარდა ამისა, ტანკერზე იმყოფებოდა შეიარაღებული დაცვა, ამდენად უცნობია, როგორ მოახერხეს მეკობრეებმა იქ შეღწევა და მძევლების აყვანა.

პრაქტიკიდან გამომდინარე, მეკობრეები შემთხვევიდან რამდენიმე დღეში ჩნდებიან და გამოსასყიდ თანხას ითხოვენ. საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ინფორმაციით, ბერძნულ კომპანიას აქვს მეკობრეებთან ურთიერთობის გამოცდილება და მაქსიმალურად შეეცდება, დაცული იყოს გატაცებულთა უსაფრთხოება.

ბერძნული დროშის ქვეშ მცურავი ტანკერიდან მეკობრეებმა ოთხი მეზღვაური გუშინ გამთენიისას გაიტაცეს. გატაცებულთაგან ერთი საქართველოს, ორი ფილიპინებისა და ერთი საბერძნეთის მოქალაქეა.

მექსიკაში ამერიკულ ოჯახს დაესხნენ

მექსიკის ჩრდილოეთით, აშშ-ის მოქალაქეებზე თავდასხმას სულ ცოტა 5 ადამიანი ემსხვერპლა.

დაღუპულები ლებარონების ოჯახის წევრები არიან, რომელიც მორმონების ეკლესიას წლების წინ გამოეყო და მექსიკაში დასახლდა. სამი დედა და მათი 14 შვილი მანქანებით გადაადგილდებოდნენ, როცა მათ თავს დაესხნენ. ერთ-ერთი ავტომობილი შემთხვევის ადგილზე დამწვარი იპოვეს, რომელშიც დაღუპულები აღმოაჩინეს. ოჯახის დანარჩენი 9 წევრის ადგილმდებარეობა უცნობია.

ადგილობრივი მედია ვარაუდობს, რომ მომხდარში დამნაშავე რეგიონში მოქმედი ნარკოკარტელია, რომლის წევრებსაც ლებარონები მოწინააღმდეგეებში შეეშალათ. მომხდარზე დაწყებულია გამოძიება.

ვახტანგ ჯიხვაძეს ბაღდათში დიდებული საოჯახო მარანი აქვს!

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი ბაღდათში ვახტანგ ჯიხვაძის საოჯახო მარანს სტუმრობდა, სადაც ადგილობრივ, საოჯახო მარნების მფლობელ მეღვინეებს შეხვდა და იმერეთის რეგიონში აგროტურიზმის განვითარების კუთხით წყალტუბოს რეაბილიტაციის ინიციატივასა და სამინისტროს მიერ რეგიონში დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრა.

„ღვინის ტურიზმი ქვეყანაში სულ უფრო და უფრო პოპულარულია. იმერეთის რეგიონში მასშტაბური პროექტის დაწყებით, რაც აბასთუმანი-წყალტუბოს განვითარებას გულისხმობს, მეღვინეობის კულტურით და მაღალი ხარისხის ღვინოებით გამორჩეული ბაღდათი მნიშვნელოვანი ტურისტული მარშრუტის შემადგენელი ხდება“, — აღნიშნა მინისტრმა მეწარმეებთან გამართულ შეხვედრაზე.

ვახტანგ ჯიხვაძის საოჯახო ღვინის მარანში „შატო ფერსათი“ 23 ტონა ტევადობის ქვევრებია. მარანში ციცქას, ცოლიკოურისა და ალადასტურის ღვინოები იწარმოება. წლევანდელ რთველზე, ყურძნის 70% მეწარმემ ადგილობრივი ფერმერებისგან შეიძინა. მცირე მარნის მფლობელი, სამომავლოდ, აგროტურიზმის მიმართულების განვითარებას გეგმავს.

30 ახალი ავტობუსი

მუნიციპალური ავტობუსების პარკის განახლების პროექტის ფარგლებში, თბილისში „ისუზუს“ (ISUZU) და „მენის“ (MAN) მარკის 30 ავტობუსი შემოვიდა.

ახალი ავტობუსები ექვს ნოემბერს №5, №90, №106, №112 მარშრუტებზე გავლენ, ხოლო რვა ნოემბერს — №1, №31, №124 მარშრუტებზე.

12 ნოემბრიდან ახალი ავტობუსები იმოძრავებენ №19, №57, №80 და №122 მარშრუტებზე.

ახალი ავტობუსების უმრავლესობა დედაქალაქის გარეუბნებში არსებულ დასახლებებს და შემოერთებულ სოფლებს ცენტრალურ უბნებთან დააკავშირებს.

ჩოჩორი აუქციონზე 633.5 ლარად გაიყიდა

თბილისში, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ მუნიციპალურ თავშესაფარში გადაყვანილი ჩოჩორი 633.5 ლარად გაიყიდა.

29 ოქტომბერს გამოცხადებულ ელექტრონულ აუქციონზე საწყისი ფასი 70 ლარი იყო.

აუქციონზე სამი პრეტენდენტის კონკურენციის შედეგად ფასი თითქმის გაათმაგდა.

როგორც ცხოველის მახასიათებლებში იყო მითითებული, ჩოჩორი ხუთი-ექვსი თვისაა, წითური ფერის.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ყურადღება!

„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოსაწერად მიმართეთ:
„ელვა.ჯი“
577 991651
577 308847
შპს „მაცნე“
599 982777
„პლანეტა ფორტე“
579 799908

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9653; ევრო - 3.3093;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.8294;
100 რუბლი - 4.6865; თურქული ლირა - 0.5207;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7442;
1000 სომხური დრამი - 6.2231.

ამინდი 6 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+1,	დღე	+20
მთიანი რაიონები -	ღამე	-4,	დღე	+18
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+8,	დღე	+25
მთიანი რაიონები -	ღამე	-1,	დღე	+22
თბილისი:	ღამე	+2,	დღე	+20

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge